# რეზონანსი

გამოიცემა 1990 წლიდან

70 თ. | ხუთშაბათი, 22 დეკემბერი, 2022 | ყოველდღიური 247(10407)


## საქართველოში საწვავი კიდევ გაიაფდება სადამდე შეიძლება ჩამოვიდეს ბენზინის ფასი?

9

## «ხელისუფლება დათმობაზე თუ წავიდა, მაშინ «ნაციონალები» იგრძნობენ, რომ ბარიერი გაირღვა...» – რა შეიძლება მოჰყვეს სააკაშვილის პროცესს

3

## რეექსპორტის მაჩვენებლები პიკზეა. საქართველო გლობალურ პროცესებში ებმება

8

# ახალი «შეიარაღების რბოლა» და მხარეების დიდი მზადება ომის გადამწყვეტი ეტაპისთვის



თამთა ჩაჩანიძე

მხარეები ომში გადამწყვეტი ეტაპისთვის ემზადებიან – რუსეთის უკრაინაში შეჭრიდან ათი თვის თავზე პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი აშშ-ში თავის ისტორიულ ვიზიტს იწყებს. ეს იმ პერიოდს ემთხვევა, როცა შეერთებული შტატები კიევისთვის 1,8-მილიარდიანი სამხედრო დახმარების ახალ პაკეტს აანონსებს. პაკეტში პირველადაა გათვალისწინებული „პეტრიოტის“ საზენიტო სარაკეტო სისტემას, რომელიც უკრაინის ცას რუსეთის სარაკეტო იერიშებისგან ეფექტურად დაიცავს. რუსეთის თავდაცვის უწყებამ კი პუტინის მონაწილეობით საგანგებო სხდომა გამართა, სადაც მნიშვნელოვანი რეფორმებისა და ნატოს გაფართოების საპასუხო ზომების გატარებაზე ისაუბრეს.

შეიძლება ითქვას, რომ ისტორია მეორდება, როდესაც ცივი ომის დროს ქვეყნებმა სამხედრო არსენალი თანდათან გაზარდეს. შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა მილიარდობით დოლარი დახარჯეს ბირთვული იარაღის უზარმაზარი მარაგის შესაქმნელად, რამაც საბოლოოდ ეკონომიკურად ჩამორჩენილი საბჭოეთის დასუსტება და სრული კოლაფსი გამოიწვია.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## უკრაინის ოფიციალური განცხადება «ომში ჩაბმაზე» – რა გამოხმაურებები მოჰყვა თბილისში კიევის მორიგ შეტევას «ოცნებაზე»

4

# რას აპირებს ენმ, დღევანდელ პროცესზე არასასურველი შედეგი თუ დადგა?

### „ოცნება“ სააკაშვილს მხოლოდ მაშინ გაუშვებს, მისი დაღუპვის საფრთხე ნამდვილად თუ გაჩნდა“

რას აპირებს „ნაციონალური მოძრაობა,“ 22 დეკემბერს მოსამართლე გიორგი არევაძე სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადების გადაწყვეტილებას თუ არ მიიღებს? როგორც ცნობილია, გუნდში სამოქმედო გეგმაზე არ შეთანხმებულან და პარტიაში ჯერაც არ იციან, ვინ რა გადაწყვეტილებას მიიღებს. ნიკა მელია წინადადებით გამოდის, რომ თუ სასამართლო მათთვის სასურველ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, პარტიამ პარლამენტი დატოვოს, რაზეც ენმ-ში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ლევან ხაბეიშვილის მომხრეები კი პარლამენტში შიმშილობას აგრძელებენ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით. უცნობია, გეგმავს თუ არა პარტია მასობრივი აქციების გამართვას.

იხილეთ მე-2 გვერდზე

## თხევად გაზზე მომუშავე ავტომობილების ერთი ნაწილი ტექინსპექტირებას ვერ გადის

8


ნომრის რედაქტორი



მალხაზ გაგუა



ვაკანსიები უფასოდ

resreklama@yahoo.com

განცხადება ესემესის საშუალებით

593 225 225


## წალენჯიხაში 35 წლის კაცმა მამა ცემით მოკლა – «მამამ უჩივლა, მცემსო, მერე გავიგეთ, რომ საჩივარი გამოატანინეს»

6

## «ბაიდენმაც რომ სთხოვოს, «ოცნება» დათმობაზე არ წავა» – პაატა ზაქარეიშვილი

3

### ამინდი

თბილისში – დღისით +9, ღამით -1

| | |
|---|---|
| ბათუმი | +11° |
| სოხუმი | +8° |
| ცხინვალი | -3° |
| ქუთაისი | +6° |
| თელავი | +0° |
| ახალციხე | +2° |

### ძვირფასი ლითონების ფასები

ლონდონის ბირჟა (უნცია/აშშ დოლარი)

| | ოქრო | ვერცხლი | პლატინა |
|---|---|---|---|
| 09.12.22 | 1793,0 | 23,11 | 1001,0 |
| 12.12.22 | 1790,60 | 23,39 | 1020,0 |
| 13.12.22 | 1785.15 | 23,39 | 1004,0 |
| 16.12.22 | 1780.15 | 22,83 | 992,0 |
| 19.12.22 | 1796,50 | 23,24 | 1002.0 |
| 20.12.22 | 1806,35 | 23,74 | 999,0 |

### ნავთობპროდუქტების ფასები

| | ოპეკის ფასთა კალათა 1 ბარელი/დოლ. | იმპორტირებული საწვავის ფასი ადგილობრივ ბაზარზე (ლ/დოლ) ბენზინი | დიზელი |
|---|---|---|---|
| 12.12.22 | 74,94 | -------- | ------ |
| 13.12.22 | 78,34 | -------- | ------ |
| 16.12.22 | 78.73 | -------- | ------ |
| 19.12.22 | 78.11 | -------- | -------- |
| 20.12.22 | 78,13 | ------ | ------ |

### ვალუტა

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,6646 |
| ევრო | 2,8287 |
| გირვანქა სტერლინგი | 3,2314 |
| 100 რუბლი | 3,7721 |

პოლიტიკა

# «ოცნება» სააკაშვილს მხოლოდ მაშინ გაუშვებს, მისი დაღუპვის საფრთხე ნამდვილად თუ გაჩნდა» - რას აპირებს ენმ, დღევანდელ პროცესზე არასასურველი შედეგი თუ დადგა?

ელზა პაპოშვილი

***რას აპირებს „ნაციონალური მოძრაობა," 22 დეკემბერს მოსამართლე გიორგი არევაძე სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადების გადაწყვეტილებას თუ არ მიიღებს? როგორც ცნობილია, გუნდში სამოქმედო გეგმაზე არ შეთანხმებულან და პარტიაში ჯერაც არ იციან, ვინ რა გადაწყვეტილებას მიიღებს. ნიკა მელია წინადადებით გამოდის, რომ თუ სასამართლო მათთვის სასურველ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, პარტიამ პარლამენტი დატოვოს, რაზეც ენმ-ში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ლევან ხაბეიშვილის მომხრეები კი პარლამენტში შიმშილობას აგრძელებენ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით. უცნობია, გეგმავს თუ არა პარტია მასობრივი აქციების გამართვას.***



პარალელურად ექსპრეზიდენტის ჯანმრთელობის შესახებ სპეკულაცია გრძელდება. სააკაშვილის ადვოკატები და გარემოცვა ამტკიცებენ, რომ იგი მოწამლულია, ხოლო ხელისუფლება ამბობს, რომ ეს სიცრუეა და პარტია მის ჯანმრთელობას პოლიტიკური მანიპულაციებისთვის იყენებს. ენმ-ში ამაზე პასუხობენ, რომ მას პროცესზე ონლაინ თუ ჩართავენ, ყველა ნახავს, რომ უმძიმეს მდგომარეობაშია.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელ მალხაზ ურთმელიძის ცნობით, სასამართლოს მიერ უწყებისთვის მოწოდებული ცენტრ „ემპათიის" დასკვნის ნაწილის მიხედვით, მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის მოწამვლის ფაქტი არ დასტურდება. მის ორგანიზმში არც ერთი მაჩვენებელი არ სცდება ნორმას და ნორმაზე მკვეთრად დაბალია, მათ შორის თმაში ნანახი ვერცხლისწყალიც ორჯერ ნაკლებია, ვიდრე დასაშვები ნორმა.

„ნაციონალური მოძრაობის" წევრი ეკა ხერხეულიძე კი ამბობს, რომ ხუთშაბათს მიხეილ სააკაშვილს პროცესზე თუ ჩართავენ, საზოგადოება ნახავს „უძლურებაში მყოფ" ექსპრეზიდენტს:

„არ ვიცი, რას გადაწყვეტს „ქართული ოცნების" შეფი ბიძინა ივანიშვილი, მოისურვებს თუ არა, მიხეილ სააკაშვილი ჩართოს ონლაინ და ანახოს საზოგადოებას. ამაზე პასუხი „ქართულ ოცნებაშიც" არ ექნებათ იმიტომ, რომ ეს გადაწყდება დილით, როგორ გუნებაზეც გაიღვიძებს ბიძინა ივანიშვილი. თუ ჩართავენ, საზოგადოება ნახავს ტკივილებისგან დატანჯულ საქართველოს მესამე პრეზიდენტს, უძლურებაში მყოფს, რომლის მდგომარეობა არის საკმაოდ კრიტიკული და რომელიც იმსახურებს, მიეცეს სიცოცხლის შესაძლებლობა. ეს იქნება ის სურათი, რასაც ნახავს ყველა ერთად, თუ შეეძლება მიხეილ სააკაშვილს, მიმართოს საზოგადოებას. მას არ აქვს ის მდგომარეობა, რომ ეს პროცესები გაიწელოს დროში. წარმოუდგენელია ამ პროცესების გადადება. ადამიანი ძალიან ცუდადაა, უბრალოდ, ვერ გაუძლებს. თუ სიცოცხლის უფლებას უტოვებენ, სასამართლო მოკლე დროში უნდა ჩატარდეს."

ლევან ხაბეიშვილის ცნობით, ძალიან ბევრი ექსპერტის შეფასება და დოკუმენტაცია არსებობს, რომელიც ადასტურებს, რომ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა:

„საზოგადოებამ, მისი ნებისა და კანონის საწინააღმდეგოდ, ვიზუალურად ნახა, როგორ გამოიყურება პრეზიდენტი სააკაშვილი, ამიტომ ნებისმიერი სპეკულაცია მის ჯანმრთელობაზე, ვფიქრობ, საზოგადოებამ კარგად გააანალიზა და აღიქვა, რომ არის მხოლოდ „რუსული ოცნების" ბოროტება, როდესაც ისინი ამბობენ, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი კარგადაა. პოლიტიკოსები, „რუსული ოცნების" სპიკერები საქართველოში ამბობენ, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი კარგადაა, პროფესიონალები ამბობენ, რომ მის ჯანმრთელობას პრობლემა აქვს და მათ შორის დადასტურებულია მოწამვლის ფაქტი. შესაბამისად, ყველა დოკუმენტაცია არსებობს იმისათვის, რომ მოხდეს პრეზიდენტ სააკაშვილის გადაყვანა. ვოლსკისა და მდინარაძის განცხადებები არ ნიშნავს პროფესიონალების გადაწყვეტილებას."

როგორც მან აღნიშნა, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად, შეუძლებელია, ენდო სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს.

მმართველი გუნდის წევრი ნიკოლოზ სამხარაძე კი ეჭვობს, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ყველაფერი ისე ცუდად არ არის, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობენ და მიდის დიდი კამპანია, რათა იგი სასჯელს დაუძვრეს:

„სიმართლის დასადგენად ყველაზე კარგი საშუალება ანალიზების აღებაა. კითხვას ბადებს, რომ მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ყველაფერი ისე ცუდად არ არის, როგორც ამის წარმოჩენას მისი პოლიტიკური მეგობრები და ადვოკატები ცდილობენ. ეს ყველაფერი არის ერთი დიდი კამპანიის ნაწილი, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ სააკაშვილი პასუხისმგებლობას დაუძვრეს და სასჯელი არ მოიხადოს."

ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე ვარაუდობს, რომ მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების გადაწყვეტილებას 22 დეკემბრის სასამართლო პროცესზე არ მიიღებენ და ეს პროცესი გაჭიანურდება.

„ოცნება" სააკაშვილს გაათავისუფლებს იმ შემთხვევაში, მისი ფიზიკურად განადგურების საფრთხე ნამდვილად თუ გაჩნდა. ჯერ ეს გადაწყვეტილება არ მიულიათ, რადგან ფიქრობენ, რომ თუ გაუშვებენ მას, ეს მმართველ გუნდს პოლიტიკურად დააზიანებს. მიუხედავად დასავლეთიდან ბოლო დროს დაწყებული აქტიურობისა, ჯერ რეალურ პრობლემას ვერ ხედავენ და, დიდი ალბათობით, ამ ფორმაში ჯერ შეინარჩუნებენ მას ან შეეცდებიან, რაღაც სხვაში გაცვალონ, რაში, არ ვიცი.

ხელისუფლება ორი მიმართულებით მუშაობს: ამზადებს საზოგადოებას იმისთვის, რომ სააკაშვილი ცუდად არის და ხვალ რომ დასჭირდეს სასწრაფოდ მისი ექსტრადირება, ამას დაეყრდნობიან. იტყვიან, როცა აუცილებელი გახდა, გადავიყვანეთო. მეორე ის, რომ ჰყავდეს და ათამაშოს არჩევნებამდე. ჯერჯერობით ხელისუფლება ვერ ხედავს იმის აუცილებლობას, რომ სააკაშვილი გაცვალოს. ამიტომ სასამართლო პროცესს გაწელავს, როგორც კოზირი ხელში, ისე ექნება და თუ დასჭირდება, გამოიყენებს. მე მაინც მგონია, რომ სააკაშვილი, პოლიტიკურად, ხელისუფლებისთვის პრობლემა აღარ არის. იგი ციხეში იქნება თუ ევროპის რომელიმე ქალაქში, მნიშვნელობა აღარა აქვს, რადგან როგორც პოლიტიკური ფიგურა, იმ დოზით ვერაფერს ველარ შეძლებს, რასაც აქამდე ფიქრობდა ბევრი," - განაცხადა ძაბირაძემ.

## „ბატონი ურთმელიძე არც გამომძიებელია და არც ტოქსიკოლოგი, რომ მოწამვლაზე ისაუბროს" - ჯიშკარიანი



(რეზონანსი) ცენტრ „ემპათიის" ხელმძღვანელი მარიამ ჯიშკარიანი პენიტენციური უწყების სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელ მალხაზ ურთმელიძეს პასუხობს:

„ბატონი ურთმელიძე გახლდათ გორის ჰოსპიტალის დირექტორი, როდესაც მიხეილ სააკაშვილი იმყოფებოდა გორის ჰოსპიტალში. იქ ადგილი ჰქონდა ორ ძალადობის ფაქტს და ასევე პაციენტის გაწერას არასამედიცინო მიზნებით. შესაბამისად, როგორც იცით, აღძრულია სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის მიერ საქმე არასათანადო მოპყრობის ფაქტზე. მთლიანობაში, იუსტიციის მინისტრი, პენიტენციური სამსახური და თვითონ ურთმელძე აზიანებს საქართველოს ინტერესებს, დიდი ხანია უკვე, და ხელს უშლის საქართველოს ევროინტეგრაციას.

საერთოდ, ბატონი ურთმელიძე თავისი პროფესიით არც გამომძიებელია და არც ტოქსიკოლოგი, შესაბამისად, არანაირი უფლებამოსილება, ისაუბროს ინტოქსიკაციაზე, მოწამვლის ფაქტზე და ა.შ., მას არ გააჩნია."

შეგახსენებთ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მალხაზ ურთმელიძემ სამთავრობო მედიის ეთერში საუბრისას აღნიშნა, რომ, სასამართლოს მიერ უწყებისთვის მოწოდებული ცენტრ „ემპათიის" დასკვნის ნაწილის მიხედვით, მიხეილ სააკაშვილის მოწამვლის ფაქტი არ დასტურდება. მის ორგანიზმში ტოქსიკური ნივთიერება მომწამლავი რაოდენობით არ არის და ყველა მაჩვენებელი ნორმაზე მკვეთრად დაბალია.

## „რუსეთი დასავლეთისგან უსაფრთხოების გარანტიას თუ არ მიიღებს, ომი, შესაძლოა, მთელ კონტინენტზე გავრცელდეს" - ემანუელ მაკრონი



(რეზონანსი) „რუსეთი დასავლეთისგან უსაფრთხოების გარანტიას თუ არ მიიღებს, ახალი ომი ევროპის მთელ კონტინენტს მოიცავს," - უკრაინული მედიის ინფორმაციით, განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა.

„მშვიდობას დღეს დისკუსია დასჭირდება. უპირველეს ყოვლისა, გარანტია უკრაინის, მისი ტერიტორიული მთლიანობის, მისი გრძელვადიანი უსაფრთხოებისთვის, მაგრამ ასევე რუსეთისთვის, როგორც ზავისა და სამშვიდობო ხელშეკრულების მხარისთვის," - აღნიშნა მან.

მისი აზრით, რუსეთისთვის ასეთი გარანტიის მიცემაზე უარი გამოიწვევს ინტეგრალური ომის პროვოცირებას, რომელიც მთელ კონტინენტს მოიცავს.

„ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია რუსეთის შიში, რომ ნატო მის კარს მიუახლოვდება. ეს არის იარაღის განლაგება, რომელმაც, შესაძლოა, მას საფრთხე შეუქმნას," - განაცხადა მაკრონმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკა

# «ხელისუფლება დათმობაზე თუ წავიდა, მაშინ «ნაციონალები» იგრძნობენ, რომ ბარიერი გაირღვა...» - რა შეიძლება მოჰყვეს სააკაშვილის პროცესს

თამთა ჩაჩანიძე

***რამდენიმე საათში თბილისის საქალაქო სასამართლო იმსჯელებს სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადებაზე, ან სასჯელის მოხდისგან გათავისუფლებაზე. მისი ადვოკატი იმედოვნებს, რომ ექსპრეზიდენტს პროცესზე დისტანციურად ახლა მაინც ჩართავენ. ენმ სასამართლოს შენობასთან აქციის გამართვას აპირებს, მოშიმშილე ოპოზიციონერი დეპუტატები კი ამბობენ, რომ, ერთკვირიანი შიმშილობის მიუხედავად, თავს კარგად გრძნობენ და ბრძოლას აგრძელებენ.***

სააკაშვილის უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე იმედოვნებს, რომ ექსპრეზიდენტს პროცესზე დისტანციურად ჩართავენ:

„იმედია, ჩართავენ დისტანციურად, ვნახოთ. თუ არ ჩართავენ, პროცესი მაინც ჩატარდება, ჩვენ უკვე დრო აღარ გვაქვს. გვაქვს მყარი დასკვნა ამერიკელი ტოქსიკოლოგის მიერ, სადაც საუბარია, რომ ამ ადამიანის სხეულში აღმოჩენილია მძიმე მეტალები, ასევე გვაქვს სიმპტომები, რომლებიც მიუთითებს მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობაზე. ამ ფონზე, ვითხოვთ ისეთი ექსპერტიზის ჩატარებას, რომელიც იქნება მიუკერძოებელი, არ ვიცი, ეს საზღვარგარეთ იქნება, საქართველოში თუ რა იქნება, მაგრამ ასეთ თამაშობებში ვერ მივიღებთ მონაწილეობას."

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრ ანა წითლიძის აზრით, რომელიც ერთი კვირაა, პარლამენტში პროტესტის ნიშნად შიმშილობს, მნიშვნელოვანია, ყველა ხუთშაბათის პროცესზე იყოს კონცენტრირებული:

„მნიშვნელოვანია, ყველა ამ სასამართლო პროცესზე იყოს კონცენტრირებული, რომ ის არ გაიწელოს, რადგან თითოეული დღე არის დაკარგული პრეზიდენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. რაც შეეხება ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობას, მე ვღელავ პრეზიდენტისა და ჩემი მეგობრების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რომლებიც ჩემთან ერთად შიმშილობენ. რაც შეეხება დანარჩენს, ჩვენ ძალიან პრინციპულად მივიღეთ ეს გადაწყვეტილება და გვესმის ის სირთულე, რომელიც ამ პროცესს ახლავს თან, მაგრამ ეს არ არის ის საკითხი, რომელიც არის მნიშვნელოვანი იმდენად, რომ ეს იყოს მთავარი თემა. ჩვენ ვაგრძელებთ შიმშილობას, აგვიღეს ანალიზები და ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურადაა."

ცენტრი „ემპათიის" დასკვნა კატეგორიულია - სააკაშვილი მოწამლულია, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი მალხაზ ურთქმელიძე კი ამბობს, რომ სასამართლოს მიერ უწყებისთვის მოწოდებული ცენტრ „ემპათიის" დასკვნის ნაწილის მიხედვით, ექსპრეზიდენტის მოწამვლის ფაქტი არ დასტურდება. მის ორგანიზმში ტოქსიკური ნივთიერება მომწამლავი რაოდენობით არ არის და ყველა მაჩვენებელი ნორმაზე მკვეთრად დაბალია.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძის განცხადებით, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ვინმემ ექსპრეზიდენტი მოწამლა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელ მალხაზ ურთქმელიძის ნათქვამი კი კვლევასა და დოკუმენტებს ეფუძნება:

„ეს მისი მოსაზრება კი არ იყო, მან მიუთითა კონკრეტულ ანგარიშებზე, კონკრეტულ კვლევებზე და ინფორმაციაზე, რომელიც პენიტენციური სამსახურის ხელთ არის, ყველა წარდგენილი დოკუმენტის მიხედვით. როგორც მოვისმინე, ურთმელიძე ამბობდა იმას, რომ იმ ნივთიერებების დასაშვებ დოზას, რომლის არსებობაზეც კეთდებოდა შორს მიმავალი დასკვნები, არ აღემატება. ამის გათვალისწინებით, არავითარი საფუძველი არ არსებობს განცხადებისთვის, რომ ვინმემ ვინმე მოწამლა. რასაკვირველია, ობიექტურად, ამას არავითარი დასაყრდენი არ გააჩნია. ეს თქვა იმ ადამიანმა და ვფიქრობ, ეს არ არის საკითხი, რომელიც სუბიექტური შეფასების დონეზე შეიძლება წყდებოდეს. ეს ყველაფერი არის გაზომვადი კრიტერიუმებით და არ მგონია, ამაზე კამათი ღირდეს. უნდა ვნახოთ ფაქტები. ფაქტები თუ არის ისეთი, როდესაც დასაშვებ ნორმას არ აღემატება რაღაც ნივთიერების შემადგენლობა ორგანიზმში, ამის შემდეგ როგორ შეიძლება კამათი იმასთან დაკავშირებით, მოწამვლა არის თუ არა და რაღაც ბნელ ოთახში კატის დაჭერის მცდელობა."

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ ენმ-ის არც ერთ ლიდერზე, რომელიც დააპატიმრეს, პარტიას თავი ასე არ შეუწუხებია, სააკაშვილის შემთხვევა კი უპრეცედენტოა, რაც, დიდი ალბათობით, საერთაშორისო რეაქციას უკავშირდება.

„სავარაუდოა, რომ ხელისუფლება დათმობაზე თუ წავიდა, ამას „ნაციონალების" მეტი ძალისხმევა და მეტი დაპირისპირება მოჰყვება, რადგან ნახავენ, რომ ბარიერი გაირღვა. ყველაფერი ისევ ისე თუ დარჩა, მე მგონი, ენმ-ის რეაქციაც ისეთივე იქნება, გარკვეულ ხანს პროტესტი გაგრძელდება და მერე ჩაქრება.

„ენმ-ის წამყვანი ფიგურების, ლიდერების დაპატიმრების რამდენიმე შემთხვევა ვნახეთ (მერაბიშვილიდან დაწყებული) და „ნაციონალებს" არავიზე თავი არ შეუწუხებიათ. იმდენად არ შეუწუხებიათ, რომ აქცია ან ნაბიჯები არც კი გვახსენდება თანამებრძოლის გასათავისუფლებლად.

„ახლა უპრეცედენტო ძალისხმევას ვხედავთ, რაც ცოტა გაუგებარია. თანამებრძოლისა და ლიდერის დასაცავად ახლა თუ არიან მობილიზებული, სხვა ლიდერების მიმართ რატომ არ იყვნენ ასე?! ახლა რა ხდება ისეთი, რომ მათი მობილიზება გამოიწვია?!

„სხვა ლიდერებზე საერთაშორისო რეაქცია ნაკლები იქნებოდა, სააკაშვილზე კი, ბუნებრივია, მეტია. დასავლეთმაც ახსენა იგი და უკრაინიდანაც ზელენსკისა და პოდოლიაკის პრინციპული განცხადებები მოვისმინეთ.

„მე მგონი, ახლა ძირითადად ეგ მოტივია წამყვანი, რომ დასავლეთი და უკრაინა, რომელსაც დღეს დიდი წონა აქვს, თავიანთი ბრძოლის თანამონაწილე რაც შეიძლება მეტად გახადონ. „ნაციონალებს" მეტი წარმატება უცხოეთში აქვთ, ვიდრე საქართველოში, სააკაშვილის ფიგურისა და მისი პრობლემების წინ წამოწევით კი მეტად მიიქცევენ უცხოელების ყურადღებას და მეტი მხარდაჭრა იქნება. ეს ძალისხმევა, აქციები, ენერგიის დახარჯვაც ალბათ ამითაა განპირობებული," - აღნიშნა საყვარელიძემ „რეზონანსთან."

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა ნედ პრაისმა განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობაა, სააკაშვილს სამართლიანად და ღირსეულად მოეპყროს, მათ შორის ყველა საჭირო სამედიცინო და ფსიქოლოგიური მკურნალობით, როგორც რეკომენდებულია სახალხო დამცველის მიერ მიწვეული დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტების მიერ. საქართველოს ხელისუფლებამ მისი უფლებების დაცვა და საჭირო სამედიცინო მომსახურება უნდა უზრუნველყოს.


დაცვის პოლიცია 125 შსს

ვემსახურებით თქვენს უსაფრთხოებას!

დაზოგეთ წელიწადში 300 ლარი

ბინა - 60 ლარიდან

აგარაკი - 100 ლარიდან

ბინას + აგარაკი = 135 ლარიდან



დაცვის პოლიციის მიერ დაცული
სააგარაკე ზონებია:

წყნეთი, კოჯორი, საგურამო, შინდისი, ოქროყანა, წავკისი, ბორჯომი, ბაკურიანი, კვარიათი, ურეკი, გონიო, სარფი, ნატახტარი, მისაქციელი, მოპორთი, ბულაჩაური, არაგვისპირი, წითელსოფელი, კიკეთი და ბეთანია

www.125.ge f 125.ge

პოლიტიკა

# უკრაინის ოფიციალური განცხადება «ომში ჩაბმაზე» - რა გამოხმაურებები მოჰყვა თბილისში კიევის მორიგ შეტევას «ოცნებაზე»



თამთა ჩაჩანიძე

**„ოცნების" საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე მამუკა მდინარაძის განცხადებას, რომელმაც სააკაშვილის უკრაინიდან ჩამოსვლას სპეცოპერაციის ნაწილი უწოდა, რისი მთავარი მიზანიც საქართველოს ომში ჩართვა იყო, ოფიციალური კიევის პასუხი მოჰყვა, რომ უკრაინა არასოდეს ჩარეულა და არც გეგმავს, ჩაერიოს საქართველოს საშინაო საქმეებში.**

როგორც ოპოზიცია მიიჩნევს, ამით „ოცნებას" ოფიციალური პასუხი გაეცა, რომ საქართველოს ომში ჩართვა არავის უნდა.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ოლეგ ნიკოლენკომ ასეთი რამ თქვა:

„საქართველოს მმართველი პარტიის ლიდერმა განაცხადა, რომ სააკაშვილის ჩამოსვლა საქართველოში უკრაინის სპეცოპერაცია იყო თბილისის ომში ჩართვის მიზნით. რა სახის ინსინუაციებს არ მიმართავს ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი საქართველოში ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე პასუხისმგებლობისგან თავის დასაღწევად. უკრაინა არასოდეს ჩარეულა და არც გეგმავს ჩაერიოს საქართველოს საშინაო საქმეებში. ამასთანავე, ღრმად იმედგაცრუებული ვართ, რომ საქართველოს ხელისუფლება სპეკულირებს უკრაინაში ომის თემაზე, რათა ვიწრო შიდაპოლიტიკურ მიზნებს მიაღწიოს. ჩვენ კვლავ მოვითხოვთ სააკაშვილთან უკრაინის უმაღლესი რადას ადამიანის უფლებათა კომისრის დმიტრო ლუბინეცის დაშვებას. ასევე მოგიწოდებთ, უზრუნველყოთ უკრაინის მოქალაქე სათანადო სამედიცინო დახმარებით, დააკმაყოფილოთ სასჯელის გადავადების მოთხოვნა შემდგომი მკურნალობისთვის - სააკაშვილის უკრაინის, დასავლეთ ევროპის ან ამერიკის ერთ-ერთ კლინიკაში გადაყვანის მიზნით."

„დღეის იქეთ „ქართული ოცნება" საქართველოს ომში ჩართვაზე რამეს რომ იტყვის, გთხოვთ, უკრაინის ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია სახეზე აafაროთ - საქართველოს ომში ჩართვა არავის სურს!" - ამბობს „სტრატეგია აღმაშენებლის" ლიდერი გიორგი ვაშაძე. მისი აზრით, ამ თემაზე უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ყველა კითხვას პასუხი გასცა და ყველა სპეკულაცია დასრულებულია.

ასეთი ვნებათაღელვა მამუკა მდინარაძის შემდეგმა განცხადებამ გამოიწვია:

„ჩვენ წინა პერიოდის განმავლობაში ვამბობდით, რომ ეს არის, ეს იყო მისი ჩამოყვანა, სააკაშვილის გამოგზავნა, კიდევ უფრო რომ დავაზუსტოთ, იყო სპეცოპერაცია და დღეს სპეცოპერაციის ავტორებმა სპეცოპერაციის ობიექტის, შემსრულებლის სასარგებლოდ უზრუნველყვეს უკრაინის პრეზიდენტის განცხადებაც კი. ეს არის მარტივი შეფასება.

„როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, რომ ომში ჩართვა იყო ამ სპეცოპერაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, ამას შემთხვევით ხომ არ ვამბობთ, ხომ ფაქტებს ვიშველიებთ, მათ შორის შემთხვევითი არ არის ამ განცხადებასთან თანხვედრაში, ლოგიკურად, შეგვიძლია, განვიხილოთ უკრაინის რიგი მაღალჩინოსნების განცხადება, რომ ომის ხალხი არ არის საქართველოს ხელისუფლებაში დღეს, აი, მიხეილ სააკაშვილი ამას გააკეთებდაო, დიახ, მათ აქვთ ეს მოლოდინი."

ანალიტიკოსმა გია აბაშიძემ „რეზონანსთან" აღნიშნა, რომ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო ტონის შერბილებას ცდილობს, თუმცა კიევის მაღალჩინოსნების განცხადებები ქართველ საზოგადოებას ახსოვს.

„ერთია, რას ამბობს უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო და მეორეა, რას ამბობს უკრაინის სახელმწიფოს მეთაური ვოლოდიმირ ზელენსკი. ფაქტია, რომ კიდევ ერთხელ თავხედურად ცდილობს, სუვერენული საქართველოს დამოუკიდებელ მართლმსაჯულებაში ჩაერიოს. ასეთი განცხადებები კატეგორიულად მიუღებელია.

„არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნის ლიდერი ან რომელი პარტიის თავმჯდომარეა. ზელენსკიმ უნდა გაითვალისწინოს, რომ საქართველოში ამა თუ იმ პატიმრის, მათ შორის სააკაშვილის, გაშვება-არგაშვების საკითხს მოსამართლე წყვეტს და არა მთავრობა, როგორც მას მიაჩნია. მესმის, უკრაინის საგარეო უწყებას ტონის შერბილება სურს, რაც დიპლომატების ფუნქციაა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს საზოგადოებას ეს პირველად არ ესმის და ასეთი განცხადებები აღმაშფოთებელია, ზელენსკი იტყვის, არესტოვიჩი თუ არახამია. დამოუკიდებელი საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევა კატეგორიულად მიუღებელია.

„რაც შეეხება ომში ჩართვას, უკრაინის პოლიტიკოსები ერთს ამბობენ, საგარეო უწყება კი - მეორეს. გავიხსენოთ თუნდაც არესტოვიჩი, რომელიც პრეზიდენტის აპარატში მრჩეველია. მას ნათქვამი აქვს, რომ ცხინვალისკენ უნდა „გაგვესეირნა," ანუ ომში ჩათრევისკენ მოგვიწოდა. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო ცდილობს, ტონი შეარბილოს, მაგრამ ჩვენს საზოგადოებას ახსოვს, რომ უკრაინელმა პოლიტიკოსებმა შეურაცხყოფა არაერთხელ მოგვაყენეს," - განაცხადა გია აბაშიძემ „რეზონანსთან."

20 დეკემბერს უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ საქართველოს ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანისკენ მოუწოდა.

## სბუ: „რუსები ბუდანოვისა და რეზნიკოვის ლიკვიდაციას გეგმავდნენ, კილერი მესამე ქვეყნიდან შემოვიდა"



(რეზონანსი) უკრაინის დაზვერვამ და უსაფრთხოების სამსახურმა (სბუ) რუსების მორიგი გეგმა გაშიფრეს. უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ ვასილი მალიუკის ცნობით, ოკუპანტები უკრაინის თავდაცვის მინისტრ ოლექსეი რეზნიკოვისა და დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელ კირილ ბუდანოვის ლიკვიდაციას გეგმავდნენ.

რუსებმა გეგმის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლეს, რადგან უკრაინელებმა აღკვეთეს იგი. ცნობილია, რომ კილერი უკრაინაში მესამე ქვეყნიდან შეაგზავნეს.

„რუსები უკრაინელი მაღალჩინოსნების ლიკვიდაციაზე აქტიურად მუშაობენ. ეს მეხება არა მარტო მე, არამედ ბევრ სხვა მაღალჩინოსანსაც. არც ისე დიდი ხნის წინ შეეცადნენ დაზვერვის სამსახურის უფროს კირილ ბუდანოვისა და უკრაინის თავდაცვის მინისტრ ოლექსეი რეზნიკოვის ლიკვიდაციას. მტერმა უკრაინაში დავალების შემსრულებელიც გამოაგზავნა. აქტიურად იყენებდნენ თავიან აგენტურულ ქსელებს. იმიტაციაც კი გაითამაშეს, ფულიც გადაიხადეს, 100 ათასი დოლარი. კილერი უკრაინაში მესამე ქვეყნიდან შემოვიდა. მსგავსი გეგმები რუსებს ერთი და ორი კი არა, ათობით აქვთ შემუშავებული," - ამბობს მალიუკი.

## „სააკაშვილის მოწამვლაზე განცხადებები ბნელ ოთახში კატის დაჭერის მცდელობაა" - სარჯველაძე



(რეზონანსი) „მე როგორც მოვისმინე, ურთმელიძე ბრძანებდა, რომ ის ნივთიერებები დასაშვებ დოზას არ აღემატება, რომლის არსებობაზეც კეთდებოდა შორს მიმავალი დასკვნები. ამის გათვალისწინებით, არავითარი საფუძველი არ არსებობს განცხადებისთვის, რომ ვინმემ ვინმე მოწამლა. რასაკვირველია, ობიექტურად, ამას არავითარი დასაყრდენი არ გააჩნია. ეს თქვა იმ ადამიანმა და ვფიქრობ, ეს არ არის საკითხი, რომელიც სუბიექტური შეფასების დონეზე შეიძლება წყდებოდეს. ეს ყველაფერი არის გაზომვადი კრიტერიუმებით, აღქმადი. არ მგონია, რომ ამაზე კამათი ღირდეს. უნდა ვნახოთ ფაქტები. ფაქტები თუ არის ისეთი, როდესაც დასაშვებ ნორმას არ აღემატება რაღაც ნივთიერების შემადგენლობა ორგანიზმში, ამის შემდეგ როგორ შეიძლება კამათი იმასთან დაკავშირებით, მოწამვლა არის თუ არა და რაღაც ბნელ ოთახში კატის დაჭერის მცდელობა," - ამბობს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძე.

## ვოლოდიმირ ზელენსკი პოლონეთში მატარებლით ჩავიდა, იქიდან კი აშშ-ში თვითმფრინავით გაემგზავრა

(რეზონანსი) პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი პოლონეთში, ფშემისლში, პოლონეთ-უკრაინის საზღვართან ახლოს მატარებლით ჩავიდა. იგი ვაშინგტონში ჟეშუვის აეროპორტიდან გაფრინდა.

უკრაინის პრეზიდენტი აშშ-ში ამერიკელ კოლეგა ჯო ბაიდენსა და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდება. ვიზიტის ფარგლებში, ასევე იგეგმება მისი სიტყვით გამოსვლა კონგრესის გაერთიანებულ სხდომაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# «ბაიდენმაც რომ სთხოვოს, «ოცნება» დათმობაზე არ წავა» - პაატა ზაქარეიშვილი

ია აგულაშვილი

***22 დეკემბერს სასამართლომ სააკაშვილის გათავისუფლების ან სასჯელის გადავადების გადაწყვეტილება თუ არ მიიღო, ორად გაყოფილ „ნაციონალურ მოძრაობაში" რადიკალური მოქმედებით იმუქრებიან და ამბობენ, რომ თუ იგი საპატიმროში დარჩა, რეალობა უფრო მძიმე იქნება.***

რამდენად აქვს რესურსი ოპოზიციას, პროტესტი სახალხო მღელვარებაში გადაზარდოს, ამაზე „რეზონანსი" კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილს ესაუბრა.

***„რეზონანსი": სააკაშვილის სასამართლო პროცესამდე დარჩენილ პერიოდში მოვლენები ელვისებურად განვითარდა. უკრაინის პრეზიდენტმა საქართველოს ხელისუფლებას საზღვარგარეთ სამკურნალოდ მისი გადაყვანისკენ მოუწოდა.***

***პაატა ზაქარეიშვილი:*** ზელენსკიმ, რომელიც დღეს მძიმე მდგომარეობაშია და მისი ქვეყანა უმძიმეს ომშია ჩართული, გამონახა დრო ამ განცხადებისთვის. მას შეეძლო, საერთოდ არაფერი ეთქვა, არავინ უსაყვედურებდა, მაგრამ რადგან ჩაერია, ეტყობა, სიტუაცია რთულადაა. მისი განცხადება არ იყო შინაურ საქმეეში ჩარევა, ეს იყო შეტყობინება ქართველი ხალხისადმი, რომ, მიუხედავად არსებული კითხვებისა, საქართველო და უკრაინა ერთ გზას ვადგავართ და ერთი პრობლემა გვაქვს. მომეწონა ზელენსკის გამოსვლა, ეს იყო ცუდ დროს სწორი განცხადება.

***„რ": როგორია თქვენი პროგნოზი 22 დეკემბრის პროცესზე?***

***პ.ზ:*** კარგი მოლოდინი არ მაქვს, როგორიც იყო 21 დეკემბერი, ისეთი იქნება 23 დეკემბერიც. ხელისუფლება არავის მოწოდებას არ გაითვალისწინებს, ბაიდენმაც რომ სთხოვოს. „ქართული ოცნების" მხრიდან ეს უფრო შურისძიების მომენტია, ვიდრე მართლმსაჯულება. თანაც მმართველმა გუნდმა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება უკვე დაიწყო და სააკაშვილთან დათმობაზე თუ წავა, ამას ოპოზიცია სისუსტედ ჩაუთვლის და თავისი ამომრჩეველიც ხმას აღარ მისცემს. არ წავა დათმობაზე ხელისუფლება, სულაც იცოდეს, რომ ხვალ სააკაშვილი მოკვდება, რაც შეეძლება, გააჭიანურებს სახამართლო პროცესს.

***„რ": ოპოზიციაში არ გამორიცხავენ, რომ ზელენსკის მოწოდება შეიძლება სალომე ზურაბიშვილმა გაიზიაროს, ანუ შეიწყალოს სააკაშვილი.***

***პ.ზ:*** სააკაშვილს სამ ეპიზოდში აქვს მისჯილი, მეოთხეზე მიდის სასამართლო. ზურაბიშვილი თუ ამ სამ ეპიზოდზე შეიწყალებს, კარგი პრეზიდენტი გამოვა, მაგრამ იგი ისევ ციხეში დარჩება. არ მესმის, რატომ მიდის წნეხი ზურაბიშვილზე, როცა ასეთი ვითარებაა, არ სჯობს, პრეზიდენტის რესურსი საბოლოო განაჩენის გამოტანის შემდეგ გამოვიყენოთ?

***„რ": იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი ციხეში დარჩება, ოპოზიცია ფართომასშტაბიან აქციებს აანონსებს. აქვს ოპოზიციას იმის რესურსი, რომ პროტესტი სახალხო მღელვარებაში გადაზარდოს?***




***პ.ზ.*** შეიძლება დიდი მიტინგი ჩაატარონ, მაგრამ ოპოზიცია საზოგადოებაში პოპულარული არ არის. არანაირი დღის წესრიგი არა აქვს, ორი თემის გარდა - სააკაშვილი და ოლიგარქები, სხვას ვერაფერს სთავაზობს, საზოგადოებას კი ეს ორი თემა არ აინტერესებს. ხალხს უნდა ელაპარაკო იმაზე, რაც აწუხებს - სიღარიბე, დასაქმება და ა.შ. ნახავთ მალე, „ქართული ოცნება" საარჩევნო კამპანიას რომ დაიწყებს, როგორი მშენებლობები დაიწყება, გზებისა და საბაგიროების გაყვანა... ოპოზიციას ცვლილება თუ უნდა, ახლავე უნდა დაიწყოს და გაუმართლებელია პარლამენტის დატოვებაზე მოწოდება. სისიულელეა ამის გაკეთება, როცა „დილიხორზე" არიან, მაშინ შევლენ და გამოვლენ? ჟვანია რომ ამბობდა, ზოგი საქეიფოდ არის, ზოგიც უქეიფოდო.

## „ღმერთმა დაიფარა ეს ქვეყანა, რომ უარეს უბედურებას არ გადავეყარეთ" - ნიკა სამხარაძე მარგველაშვილზე



(რეზონანსი) „მარგველაშვილისგან, ბოლო ხანებია, არაერთი მსგავსი ტიპის უაზრო განცხადებას ვისმენთ" - ასე გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნიკოლოზ სამხარაძე ყოფილი პრეზიდენტის - გიორგი მარგველაშვილის განცხადებას.

„საწყენია, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ასე საუბრობს, რომ თურმე სუვერენულ სახელმწიფოში ერთი ზარით შეიძლება საკითხები გადაწყდეს. თუ ის ასე მუშაობდა, თავის დროზე, როდესაც პრეზიდენტი იყო, ღმერთმა დაიფარა ეს ქვეყანა, რომ უარეს უბედურებას არ გადავეყარეთ," - აღნიშნა სამხარაძემ.

აყოფილი პრეზიდენტის - გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ერთი ზარი ვაშინგტონიდან მიხეილ სააკაშვილის ბედს გადაწყვეტს. ხოლო თუ ხასამართლო არ გაათავისუფლებს მას, ადამიანის წამების მონაწილე გახდება.

## „ბავშვები ღელავენ, რომ რუსული რაკეტები ჩამოაგდებენ სანტას.." - უკრაინის თავდაცვის სამინისტრო

(რეზონანსი) „ჩვენი საჰაერო თავდაცვა სანტას და მის ირმებს, ჩვენი ქვეყნის თავზე უსაფრთხოდ ფრენის გარანტიებს აძლევს" - ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის სამინისტრო თწიტტერ-ზე წერს.

„ჩვენი ბავშვები ღელავენ, რომ რუსული რაკეტები ჩამოაგდებენ სანტას, რომელიც უკრაინას გადაუფრენს, მაგრამ ჩვენი საჰაერო თავდაცვა მას და მის ირმებს, ჩვენი ქვეყნის თავზე უსაფრთხოდ ფრენის გარანტიებს აძლევს," - ნათქვამია თავდაცვის უწყების განცხადებაში.

## „თუ მიხეილ სააკაშვილისთვის სასიკვდილო განაჩენი იქნება გამოტანილი, ვერაფერი ისე ველარ დარჩება" - ნუგზარ წიკლაური




(რეზონანსი) „ერთი მიტინგი კი არა, ყოველდღიურად სხვადასხვა საშუალებით უნდა ვიბრძოლოთ და გავწიოთ წინააღმდეგობა - თუ სასიკვდილო განაჩენი იქნება გამოტანილი, გაცილებით სხვა სიმწვავის საპროტესტო აქციები და გაცილებით უფრო კონსოლიდირებული ქართული საზოგადოება იქნება," - აღნიშნა „ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ნუგზარ წიკლაურმა ტელეკომპანია „პალიტრანიუსის" გადაცემაში „360 გრადუსი."

მისი აზრით, საქმე ერთი ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლეს არ ეხება და სააკაშვილის საქმეზე გადაწყვეტილება იმის სიმბოლო გახდება, როგორი ქვეყანა იქნება საქართველო.

„თუ სასიკვდილო განაჩენი იქნება გამოტანილი, ვერაფერი ისე ველარ დარჩება. იქნება გაცილებით სხვა სიმწვავის საპროტესტო აქციები და გაცილებით უფრო კონსოლიდირებული ქართული საზოგადოება. სააკაშვილის საკითხი ახლა უკვე აპარტიული საკითხია. ალბათ ყველა პოლიტიკური პარტია აცნობიერებს, რომ თუ შეიძლება რომ ქვეყნის მესამე პრეზიდენტს ასე მოექცნენ, ასე აჩვენონ მისი კადრები და აწამონ ადამიანი, არ გაუჭირდებათ, რომ საქართველოს სხვა მოქალაქეებსაც გაუსწორდნენ ასე და კიდევ უფრო მეტი სისასტიკით. საზოგადოებრივ აქტივობას უდიდესი მნიშვნელობა ექნება," - განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

მისი აზრით, „ქართული ოცნება" ახლა უმძიმეს დარტყმებს იღებს და ეს დარტყმები კიდევ გაგრძელდება."

„მსოფლიო მორალური ლიდერის - ვოლოდიმირ ზელენსკის გუშინდელი განცხადება არ მგონია, რომ იზოლირებული ინციდენტია და ამით დასრულდება. ამერიკელებისა და დემოკრატიული პრესის მზარდი აქტიურობაა ამ მიმართულებით. „ქართულმა ოცნებამ" კარგად იცის, რამხელა ფასს იხდის იმის გამო, რომ თავისი კანიბალური ვნებები დაიკმაყოფილოს. არ მგონია, ვერ აცნობიერებდნენ, რამხელა შეიძლება იყოს ზიანი პოლიტიკური კეთროვანებით მათი პოლიტიკური გუნდისა და ივანიშვილის მიმართ. ამიტომ მიმაჩნია, რომ აქ კიდევ სხვა ფაქტორია. ეს ფაქტორი უკავშირდება იმ ადამიანს, სადაური ოლიგარქიცაა ბიძინა ივანიშვილი - ეს უკავშირდება რუსეთს და პუტინს. ამ ცივილიზაციურ გზაგასაყარზე იღებს ბიძინა ივანიშვილი გადაწყვეტილებას. ამიტომ არა მხოლოდ სააკაშვილის საქმე, არამედ ბევრი სხვა საკითხია, სადაც ვხედავთ, რომ ისინი რუსული რეგრესის გზას ირჩევენ. მიხეილ სააკაშვილის საკითხი ნამდვილადაა ერთიანი ცივილიზაციური კონტექსტის ნაწილი," - განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

კრიმინალი

# წალენჯიხაში 35 წლის კაცმა მამა ცემით მოკლა – «მამამ უჩივლა, მცემსო, მერე გავიგეთ, რომ საჩივარი გამოატანინეს»

ელზა პაპოშვილი

*წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 35 წლის კაცმა მამას სასიკვდილოდ სცემა. იგი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ზუგდიდის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანა, მაგრამ გადარჩენა ვერ მოხერხდა, რამდენიმე საათში გარდაიცვალა. შვილს შემაკავებელი ორდერი ჰქონდა გამოწერილი, თუმცა მამაზე ფიზიკური ძალადობა მაინც შეძლო.*

ადგილობრივების ცნობით, მოხუცს დაზიანებები ბლაგვი საგნითაც ჰქონდა მიყენებული და ექიმებმა გადარჩენა ვერ შეძლეს. პოლიციასაც ექიმებმა მიმართეს და ფიზიკური ძალადობის ნიშნების შესახებ შეატყობინეს. შვილი დაკავებულია და მოსამართლემ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

გამოძიება 11 პრიმა 117-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ სხეულის მძიმე დაზიანებას გულისხმობს, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

„ეს ბიჭი პენსიონერ მამას ხშირად სცემდა. ამ დანაშაულისთვის სასჯელიც კი მოიხადა. მამასთან მიკარების უფლება არ ჰქონდა, შემაკავებელი ორდერი ჰქონდა გამოწერილი. ზოგი ამბობს, რომ კიბიდან ჩამოვარდა და წნევამ დაარტყა. ზოგმა თქვა, რომ შვილმა ჯერ სასტიკად სცემა და მერე ჭრილობები მიაყენა. ეს ბიჭი სვამს, ალკოჰოლიკია და ნასვამ მდგომარეობში რა ჩაიდინა, კაცმა არ იცის. სახლში დედა, მამა და ეს ბიჭი იყვნენ. ადრე მამამ უჩივლა, მცემსო, მერე გავიგეთ, საჩივარი გამოატანინეს, შვილს როგორ უჩივიო. ერთი წელი ძალადობის გამო იჯდა. არ დაისვენა და აგერ კაცი მოკლა. საშინელი ამბავია, რა შეიძლება ითქვას. ძმა ჰყავს, ზუგდიდში ცხოვრობს, გამწარებული მოვიდა, რა თქვას, არ იცის. პოლიციამ ბიჭი დააკავა. ამბობენ, რომ მიცვალებულს დაზიანებები და ცემის კვალი აშკარად ეტყობა,“ – აღნიშნა ადგილობრივმა „რეზონანსთან.“



## ხვიჩა კვარაცხელია 2022 წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი გახდა – ვინ არიან წლის სხვა საუკეთესო ჩემპიონები?



(რეზონანსი) ოლიმპიურმა კომიტეტმა წლის საუკეთესო სპორტსმენები დაასახელა. წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელია გახდა.

2022 წლის საუკეთესო სპორტსმენი ძიუდოისტი ტატო გრიგალაშვილი გახდა.

ვიქტორ სანეევის სახელობის სპეციალური პრიზი ოლიმპიურ მოძრაობაში მოპოვებული უნიკალური მიღწევებისთვის ძალოსანმა ლაშა ტალახაძემ მოიპოვა. საუკეთესო ქალი სპორტსმენი ძიუდოისტი ეთერ ლიპარტელიანი გახდა.

რაც შეეხება საუკეთესო სპორტსმენები სპორტის ზამთრის სახეობებში კარინა საფინა/ლუკა ბერულავა (ფიგურული სრიალი) გახდა. საუკეთესო სპორტულ ფედერაციად საქართველოს ფიგურული ციგურაობის ეროვნული ფედერაცია დასახელდა. 2022 წლის აღმოჩენა („ოლიმპიური იმედი“) კი გიორგი ელბაქიძე (თავისუფალი ჭიდაობა) და ანანო აფაქიძე (ბატუტზე ხტომა) გახდნენ.

ოლიმპიურმა კომიტეტმა 2022 წლის საუკეთესო მწვრთნელად ბექან ჭიჭინავა დაასახელა (კრივი); საუკეთესო მწვრთნელი ქალთა სპორტში კი ზაურ სულაშვილი (ბატუტზე ხტომა) გახდა.

## „ვერ შევძლებთ ომბუდსმენის არჩევას“ – მამუკა მდინარაძე



(რეზონანსი) მამუკა მდინარაძის თქმით, პარლამენტი საშემოდგომო სესიაზე ახალ ომბუდსმენს ვერ აირჩევს. ამის შესახებ „ქართულ ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა პარტიის ოფისში ჩატარებული უმრავლესობის სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„დღეს უკვე დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ იმ 5 კანდიდატიდან, რომელთაგანაც შევთავაზეთ, რომ აერჩიათ ერთი და ამის შემდეგ საერთო კანდიდატზე შესაძლებელი იქნებოდა შეჯერება, ჩვენმა ოპონენტებმა არ მოინდომეს არცერთ კანდიდატთან დაკავშირებით მხარდაჭერის დაფიქსირება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ვერ შევძლებთ ომბუდსმენის არჩევას და გავაგრძელებთ მუშაობას იმასთან დაკავშირებით, რომ საგაზაფხულო სესიაზე მაინც რამენაირად შევძლოთ, საერთო კანდიდატზე ჩამოვალიბდეთ“, – განაცხადა მდინარაძემ.


საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

**გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ** - ქ. თბილისში შპს "ეისიი მეტალს"-ის სორტული ნაგლინის (ლითონის ცხლად დამუშავება) საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.
**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** სორტული ნაგლინის წარმოების (ლითონის ცხლად დამუშავება) საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.
**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს "ეისიი მეტალს".
**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქ. თბილისი, გარდაბნის გზატკეცილი 42.
**დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:** 2023 წლის 27 იანვარი, 12:00 საათი, ქ. თბილისი, სამგორის რაიონის გამგეობის შენობა.

**საჯარო განხილვის ორგანიზატორი:** სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.
"გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.
დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2023 წლის 8 თებერვლის** ჩათვლით, მისამართზე: ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ** - ქ. თბილისში ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.
**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.
**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „გეო ენერჯი“.
**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 68ა.
**დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა:** 2023 წლის 11 იანვარი, 14:00 საათი, ქ. თბილისის (ფონიჭალა) ?218 საჯარო სკოლის შენობა.
**საჯარო განხილვის ორგანიზატორი:** სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.
საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2023 წლის 13** იანვარის ჩათვლით, მისამართზე: ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge

პოლიტიკა

# ახალი «შეიარაღების რბოლა» და მხარეების დიდი მზადება ომის გადამწყვეტი ეტაპისთვის



### დასასრული

რაც შეეხება შუა ომში ზელენსკის აშშ-ში ჩასვლას, უკრაინაში ამბობენ, რომ ეს ვიზიტი საბოლოოდ დაუსვამს წერტილს რუსეთის მცდელობას, დაამტკიცოს, თითქოს ორმხრივი ურთიერთობა ცივდება, შეხვედრა კი მას საშუალებას მისცემს, ახსნას უკრაინაში არსებული რეალური ვითარება, რა იარაღი სჭირდება კიევს მოსკოვთან საბრძოლველად და რატომ. აღსანიშნავია, რომ უკრაინის პრეზიდენტმა ერთი დღით ადრე ფრონტზე ყველაზე ცხელ წერტილ ბახმუტში არსებული ვითარება საკუთარი თვალით ნახა.

პაკეტი, რომელსაც აშშ უკრაინას გადასცემს, მოიცავს დაახლოებით 1 მილიარდი დოლარის იარაღს პენტაგონის მარაგიდან და კიდევ 800 მილიონი დოლარის ფინანსებს. უკრაინელი სამხედროების ახალ სისტემებზე წვრთნას შეიძლება რამდენიმე კვირა დასჭირდეს.

„პეტრიოტის" გარდა, კიევს ვაშინგტონი „ჰაიმარსის" რაკეტებს, ათასობით საარტილერიო ჭურვს, სატვირთო მანქანებსა და „ჰარმის" კლასის ანტისარადარო მართვად რაკეტებს გადასცემს. მიიღებენ მოწინავე ელექტრონულ აღჭურვილობასაც, რაც უმართავ საჰაერო საბრძოლო მასალებს „ჭკვიან ბომბებად" აქცევს, რომლებსაც რუსეთის სამხედრო პოზიციებზე დამიზნება მაღალი სიზუსტით შეუძლიათ.

როგორც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა ჯონ კირბიმ განაცხადა, ზელენსკი აშშ-ში ჯო ბაიდენმა მიიწვია, რადგან ომი „ახალ ფაზაში შედის." პრეზიდენტები განიხილავენ ომის დასრულების შესაძლო სცენარებს, რადგან „ეს სენსიტიური თემაა და დასავლელ ლიდერებს შორის გარკვეული კამათის საგანია."

„პრეზიდენტს ნამდვილად სჯერა, რომ ზამთრის მოახლოებასთან ერთად, როდესაც ჩვენ შევდივართ პუტინის აგრესიის ახალ ფაზაში, შესაფერისი დროა, რომ ლიდერები პირისპირ დასხდნენ და ისაუბრონ. ეჭვი არ მეპარება, რომ ისინი ისაუბრებენ იმაზე, რას ფიქრობს ზელენსკი სამართლიანი სამყაროს შესახებ, რა არის მისი კომპონენტები და როგორ შეგვიძლია, დავეხმაროთ უკრაინას ამის მიღწევაში. ბატონი პუტინი აშკარად არ არის დაინტერესებული ახლა დიპლომატიით, პირიქით, დაინტერესებულია მეტი უკრაინელი მშვიდობიანი მოქალაქის დახოცვით," - აღნიშნა კირბიმ.

### რუსეთის რეაქცია ზელენსკის ვიზიტზე

21 დეკემბერს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული შეხვედრა ჩანიშნა, მინისტრმა სერეი შოიგუმ კი თავდაცვის სფეროში დიდი რეფორმის შესახებ განაცხადა, რომელიც უკრაინასთან ომში გამოწვეული დანაკარგის შევსებას ითვალისწინებს როგორც ცოცხალი ძალის, ისე სამხედრო ტექნიკის სახით.

ჯარის რეფორმირებისთვის რუსეთის თავდაცვის მინისტრმა გასცა განკარგულება - არმიის რაოდენობა 1,5 მილიონამდე, კონტრაქტორებისა კი 695 ათასამდე გაიზარდოს. მისი აზრით, „საჭიროა, შეიარაღებულ ძალებში გაწვევის ასაკი ეტაპობრივად 18-დან 21-წლამდე გაიზარდოს, ხოლო ლიმიტი - 30 წლამდე," „მოქალაქეთა სურვილის შემთხვევაში კი მიეცეთ შესაძლებლობა, კონტრაქტით მსახურების პირველივე დღიდან სამხედრო სამსახურში შევიდნენ."

„ნატოს სურვილის გათვალისწინებით, რუსეთის საზღვრებთან სამხედრო პოტენციალი განავითაროს, ასევე გააფართოოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ფინეთისა და შვედეთის ხარჯზე, საჭიროა საპასუხო ზომები, რომ შეიქმნას ჯარების შესაბამისი დაჯგუფება ჩრდილო-დასავლეთ რუსეთში," - თქვა შოიგუმ.

მისი ცნობით, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალებისთვის ჰიპერბგერითი რაკეტის სერიული მიწოდება დაიწყო, „2023 წელს პრიორიტეტი იქნება სამხედრო ოპერაციის გაგრძელება დავალების სრულ შესრულებამდე."

გარდა ამისა, შოიგუს ინიციატივაა, რომ ორი სტრატეგიული ტერიტორიული გაერთიანება მოსკოვისა და ლენინგრადის სამხედრო ოლქები შეიქმნას.

მან ვაშინგტონში ზელენსკის ვიზიტზეც ისაუბრა.

„დანაკარგის ასანაზღაურებლად აშშ-მ და ნატოს სხვა ქვეყნებმა კიევის რეჟიმისთვის სამხედრო დახმარება მნიშვნელოვნად გაზარდეს, უკრაინისთვის იარაღის მიწოდებაზე 27-მა ქვეყანამ 97 მილიარდი დოლარი უკვე დახარჯა, რაც ბევრად მეტია, ვიდრე ამერიკელებმა ავღანეთში მიატოვეს," - განაცხადა შოიგუმ და დასძინა, რომ „იარაღის ნაწილი ტერორისტებს ჩაუვარდათ ხელში და კაცმა არ იცის, ვის ხელში აღმოჩნდება უკრაინული იარაღი ხვალ."

პუტინი კვლავ ბირთვული იარაღით იმუქრება და ამბობს, რომ „რუსეთს ყველაფერი აქვს, მეზობლებს კი მალე არაფერი ექნებათ, დახმარების გარდა."

„ჩვენ გავაგრძელებთ საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებას და ბირთვული ტრიადის საბრძოლო მზადყოფნის გაუმჯობესებას. ეს არის ჩვენი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, სტრატეგიული პარიტეტისა და მსოფლიოში ძალთა ბალანსის შენარჩუნების მთავარი გარანტია. ჩვენ ყოველთვის გვინდოდა, ე.წ. ცივილიზებული სამყაროს ნაწილი ვყოფილიყავით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რაც ჩვენ თვითონ დავუშვით, რატომღაც გვეგონა, რომ დღედღეზე გავხდებოდით ე.წ. ცივილიზებული სამყაროს ნაწილი, თუმცა, როგორც გაირკვა, ჩვენ იქ არ გველოდნენ, ყველა ჩვენი ძალისხმევისა და მცდელობის მიუხედავად," - აღნიშნა პუტინმა.

მისი პრესსპიკერი დიმიტრი პესკოვი ამბობს, რომ ზელენსკის აშშ-ში ვიზიტთან დაკავშირებით კრემლს „დადებითი მოლოდინი არ აქვს." დასავლეთის მიერ კიევისთვის იარაღის მიწოდება კონფლიქტის გაღრმავებას გამოიწვევს, რასაც კიევისთვის უკუშედეგი მოჰყვება.

„ზელენსკის პოზიცია აშშ-ში ვიზიტის შემდეგ უფრო კონსტრუქციული არ გახდება და რუსეთთან მოლაპარაკების პროცესის მიმართულებით არ შეიცვლება. იარაღის მიწოდება გრძელდება და მიწოდებული იარაღის დიაპაზონი ფართოვდება. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, იწვევს კონფლიქტის გამწვავებას, რაც უკრაინას კარგს არაფერს უქადის," - განაცხადა პესკოვმა.

### მოლაპარაკება მოსალოდნელი არ არის

ვოლოდიმირ ზელენსკი მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკითხები, რომლებზეც რუსებთან შეთანხმდება. დასავლელი ლიდერებიც აცხადებენ, რომ უახლოეს მომავალში უკრაინასა და რუსეთს შორის სამშვიდობო მოლაპარაკება მოსალოდნელი არ არის.

„რუსეთის ნებისმიერი ცალმხრივი მოწოდება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სრულიად უაზრო იქნება დღევანდელ ვითარებაში," - ამბობს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი რიში სუნაკი:

„რუსეთი მას იყენებს გადაჯგუფებისთვის, ჯარის გასაძლიერებლად და ვიდრე ისინი არ დატოვებენ ოკუპირებულ ტერიტორიებს, შეუძლებელია და ვერ იქნება რეალური მოლაპარაკება."

როგორც მან აღნიშნა, „ჩვენი კოლექტიური გადაწყვეტილება ნათელია, ჩვენ მხარს ვუჭერდით და გავაგრძელებთ უკრაინის მხარდაჭერას. ეს, პირველ რიგში, იმიტომ ხდება, რომ მათი უსაფრთხოება ჩვენი უსაფრთხოებაა" და პირობა დადო, რომ 2023 წელს შეინარჩუნებს ან გადააჭარბებს უკრაინის სამხედრო დახმარების მოცულობას.

„ჯერჯერობით ჩვენ ვთამაშობდით წამყვან როლს მათ მხარდაჭერაში და ვიცი, რომ ასე გავაგრძელებთ. ვფიქრობ, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ სამი პრიორიტეტი. პირველი არის იმის უზრუნველყოფა, რომ მივაწოდოთ მეტი სამხედრო დახმარება და ეს სამხედრო დახმარება განვითარდეს იმ სიტუაციის მიხედვით, რომელსაც ჩვენ ვაწყდებით. ეს ნიშნავს მეტ საჰაერო თავდაცვას, ეს ნიშნავს მეტ არტილერიას და ეს ნიშნავს მეტ ჯავშანტექნიკას," - აღნიშნა სუნაკმა.

# „სასამართლო იმას კი არ წყვეტს, ვინ მტყუანია და ვინ მართალი, არამედ იმას, უნდა იცოცხლოს მესამე პრეზიდენტმა თუ არა" - ნიკა მელია

(რეზონანსი) ხვალ ყველა ერთად გავიგებთ, რომ პროცესი დასრულდება გონივრულ ვადაში ან ყველამ, ვისაც სახელმწიფოებრივი და ჰუმანური პოზიცია გვაქვს, უნდა დავიწყოთ მოქმედება და გავაკეთოთ ყველაფერი - რაც შეგვიძლია და რაც არ შეგვიძლია - შესაძლებლობების ზღვარზე და მის მიღმაც! - ამის შესახებ გუშინ „ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე ნიკა მელიამ ხვალ, მიხეილ სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადების თაობაზე დაგეგმილ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით პარტიის ოფისში გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა.

მელიას თქმით, პროცესი ისე გაიწელა, რომ შესაძლოა არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ დადებით გადაწყვეტილებაც საბედისწერო აღმოჩნდეს, თუ ის დროულად არ იქნება მიღებული.

„22 დეკემბერს, 11:00 საათზე მიხეილ სააკაშვილის მორიგი სასამართლო პროცესი იმართება. სასამართლო იმას კი არ წყვეტს, ვინ მტყუანია და ვინ მართალი, არამედ იმას, უნდა იცოცხლოს საქართველოს მესამე პრეზიდენტმა, თუ არა, აქვს მას სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება, თუ ეს უფლებები ქვეყანაში საბოლოოდ გაუქმებულია.

მე არაერთხელ ვთქვი, რომ ვითვალისწინებთ დაცვის სტრატეგიას და ველოდებით ვერდიქტს. ვამბობდი იმასაც, რომ ნეგატიური გადაწყვეტილების შემთხვევაში ვერაფერი დარჩება ძველებურად.

მაგრამ დრო არ ითმენს, პროცესმა მიიღო იმგვარი სახე და ისე გაიწელა, რომ საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს არა მხოლოდ ნეგატიური გადაწყვეტილება, არამედ დადებითიც - თუ იგი დროულად არ იქნა გამოტანილი! არადა თავისუფლად არის შესაძლებელი პროცესის წლის ბოლომდე დასრულება!

აყველა ვხედავთ, როგორ ხდება პროცესის მიზანმიმართულად გაჭიანურება. გამომდინარე აქედან, ვითხოვთ გონივრულ ვადაში დასრულდეს პროცესი - მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის უმძიმესი მდგომარეობისა და მკურნალობის გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.

შესაბამისად, ან ხვალ ყველა ერთად გავიგებთ, რომ პროცესი დასრულდება გონივრულ ვადაში ან ყველამ, ვისაც გვაქვს სახელმწიფოებრივი და ჰუმანური პოზიცია უნდა დავიწყოთ მოქმედება და გავაკეთოთ ყველაფერი - რაც შეგვიძლია და რაც არ შეგვიძლია - შესაძლებლობების ზღვარზე და მის მიღმაც!

აყველას გვახსოვს 1993 წლის დეკემბერში დატრიალებული ტრაგედია, რომელმაც გადაწყვიტა არა მხოლოდ ერთი ადამიანის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბედი, არამედ ქვეყნის შემდგომი უბედობა! ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს არჩევანი, რომელიც შეიძლება სულ მალე აღარ გვქონდეს! ჩვენ არ უნდა დავუშვათ არ გვქონდეს არჩევანი, არ უნდა დავუშვათ მოკლული იქნას საქართველოს მესამე პრეზიდენტი მინდა ყველამ მკაფიოდ გაიგოს და კარგად შეიგნოს, გამოვიყენებთ ყველა კონსტიტუციურ მეთოდს ამისათვის", - განაცხადა ნიკა მელიამ.

გაურკვევლობა

# თხევად გაზზე მომუშავე ავტომობილების ერთი ნაწილი ტექინსპექტირებას ვერ გადის

## აუცილებელია თუ არა თხევადი აირის ავზების გამოცვლა, განსაკუთრებით მაშინ, თუკი მანქანაში ქარხნულადაა ჩამონტაჟებული?

თიკა სიგოშვილი



***საქართველოში „ჰიუნდაისა“ და „კიას“ გარკვეული მოდელის ავტომობილები ტექინსპექტირებას ვერ გადიან. მიმდინარე წლის 1-ელი იანვრიდან თხევადი აირის სისტემის მქონე ავტომობილების ტექდათვალიერება სავალდებულოა. კუსტარულად ჩამონტაჟებული ავზების ექსპლუატაციის ვადა 10 წელია, რეგულაცია კი იმ ავტომობილებზეც ვრცელდება, რომელთა ქარხნულად დამონტაჟებულ ავზებზე ექსპლუატაციის ვადა მითითებული არ არის. ავტომფლობელები პრობლემაზე ალაპარაკდნენ, რომ მანქანით ვეღარ დადიან, რადგან ჯარიმა ეწერებათ. „რეზონანსი“ შეეცადა, გაერკვია, რა არის ამ ვითარებაში გამოსავალი, რომ არც პროცესი შეფერხდეს და არც მფლობელები დაზარალდნენ.***

არსებული კანონით, მანქანას ტექნიკური ინსპექტირება თუ არ ექნება გავლილი, ფულადი ჯარიმა დაეკისრება. შედეგად, ათასობით მძღოლს მანქანით მოძრაობა ეზღუდება. ამ პრობლემის შესახებ ასეთი ავტომობილის მფლობელმა თათა დონაძემ ისაუბრა და დაადასტურა, რომ გაურკვევლობის წინაშე არაერთი მძღოლი აღმოჩნდა.

„დღეს ტექინსპექტირების ცენტრები უარს ამბობენ მსგავსი ტიპის საწვავის სისტემების დათვალიერებაზე იმ არგუმენტით, რომ, კანონის თანახმად, უკვე ამოიწურა ექსპლუატაციის ვადა და ყოველ მომდევნო წელს ასე გაგრძელდება. ავტომფლობელთა ლეგიტიმურ შეკითხვაზე, რატომ, რის საფუძველზე არ ატარებთ ინსპექტირებას, პასუხია - ეს უკვე ვადაგასული ბალონია. არსად, არც მწარმოებელ ქვეყანაში, არც თვითონ საწვავის რეზერვუარზე, არც საქართველოს კანონში არ არის ჩანაწერი, რომ ამ ბალონების ექსპლუატაცია შემოიფარგლება 10 წლით,“ - აღნიშნა თათა დონაძემ „კომერსანტთან:“

მანქანის გარკვეული მოდელების ტექინსპექტირების პრობლემას გამოეხმაურა სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო. როგორც ისინი ამბობენ, რეგლამენტში ცვლილების გარეშე შეუძლებელია სერტიფიკატის გაცემა.

„ტექნიკურ რეგლამენტებში ცვლილების განხორციელების გარეშე არ არის შესაძლებელი აირბალონის ექსპლუატაციაში დაშვების მაქსიმალური ვადის გასვლის შემდეგ აირზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმართ შესაბამისი სერტიფიკატის გაცემა, რომელიც უნდა მოიცავდეს დადებით დასკვნას. ამდენად, ხსენებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები ვერ დაიშვებიან პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებაზე.

ამასთან, აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების საკანონმდებლო რეგულირების მიღმა დატოვებამ, შესაძლოა, ვერ უზრუნველყოს საავტომობილო მიმოსვლისას მძღოლის, მგზავრისა და ქვეითის უსაფრთხოება,“ - აღნიშნულია სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს განმარტებაში.

ფაქტია, რომ ავტომობილებისთვის ტექნიკური შემოწმება აუცილებელია, თუმცა ისიც მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებმა საკუთარი მანქანებით გადაადგილება შეძლონ და ის პრობლემა, რის წინაშეც დგანან, გამოსწორდეს. როგორც შპს „აირბალონის“ ხელმძღვანელმა ნოდარ რამიშვილმა აღნიშნა, რომელიმე ავტოსატრანსპორტო საშუალებას ინსპექტირებასთან დაკავშირებით პრობლემა თუ ექმნება და ეს ექსპლუატაციის ვადას უკავშირდება, აუცილებელია ავზის გამოცვლა, რაც პრობლემას აბსოლუტურად გამოასწორებს.

„იმ შემთხვევაში, თუკი თხევადი აირის სისტემის მქონე ავტომობილები სავალდებულო ტექინსპექტირების გავლას ვერ შეძლებენ, მათ უნდა შეცვალონ მხოლოდ ბალონი და მეტი არაფერი. არ აქვს მნიშვნელობა, ქარხნულად თუ კუსტარულად იქნება დამონტაჟებული. ბალონს თხევად გაზზე ექსპლუატაციისას ვადად უწერია 10 წელი. იცვლება მხოლოდ ავზი, მილი, აპარატურა და სხვა ნაწილები კი იგივე დარჩება.

ეს, რა თქმა უნდა, გამოასწორებს ტექინსპექტირების პრობლემას. აირბალონის შეცვლით ავტომფლობელებიც უნდა იყვნენ დაინტერესებული, რადგან თხევად გაზს მოჰყვება კონდენსატიც, რაც ნავთობის გადამუშავების შედეგად მიიღება, ასევე აქვს წყლის წვეთები, რომლებიც ფსკერზე ილექება, დროთა განმავლობაში ავზს ჟანგავს და შემდეგ უკვე იხვრიტება. ამიტომაც მხოლოდ ბალონის შეცვლა მდგომარეობას გამოასწორებს,“ - აღნიშნა რამიშვილმა „რეზონანსთან“ საუბრისას.

ტექინსპექტირების ცენტრების კავშირის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი შიოლაშვილი ამბობს, რომ ავტომობილი თუ მუშაობს გათხევადებულ აირზე, ხოლო ავზი ქარხნულად არის დამონტაჟებული, მასზე არ ვრცელდება 10-წლიანი მოთხოვნა.

„ავზების დამამზადებელი ქარხანა მათი ექსპლუატაციის ვადას თავად ადგენს, რამდენი ხნით შეიძლება მისი გამოყენება და იმავდროულად დადგენილია, რა პერიოდულობით არის შესაძლებელი არსებულ ავზებზე ტექინსპექტირების ჩატარება.

ტექნიკურ რეგლამენტში მოთხოვნები გაწერილია და მოცემულია, რა პერიოდულობით არის შესაძლებელი, რა წნევაზე უნდა იყოს შემოწმებული და რა მოთხოვნებია ავზების მიმართ დადგენილი.

ავტომობილი თუ მუშაობს გათხევადებულ აირზე, ხოლო ავზი ქარხნულად არის დამონტაჟებული, მასზე არ ვრცელდება 10-წლიანი მოთხოვნა. ტექნიკური ინსპექტირების დროს მათი მხოლოდ სისტემა მოწმდება, რაც პრობლემა არაა.

ტექინსპექტირების ცენტრმა თუ ვერ შეძლო იდენტიფიცირება, ავზი ქარხნულად არის დამონტაჟებული თუ კუსტარულად, ავტომობილის მფლობელი უნდა მივიდეს კონკრეტული მწარმოებლის წარმომადგენლობასთან და იქიდან მიიტანოს ცნობა, რომ, მაგალითად, კონკრეტული „ვინ კოდის“ მქონე ავტომობილს ქარხნულად ჰქონდა დამონტაჟებული გათხევადებული აირის ბალონი, რაც საბოლოოდ მოაგვარებს პრობლემას,“ - აღნიშნა შიოლაშვილმა „რეზონანსთან საუბრისას.

**„ავტომობილი თუ მუშაობს გათხევადებულ აირზე, ხოლო ავზი ქარხნულად არის დამონტაჟებული, მასზე არ ვრცელდება 10-წლიანი მოთხოვნა. ტექნიკური ინსპექტირების დროს მათი მხოლოდ სისტემა მოწმდება.“**

სტატისტიკა

# რეექსპორტის მაჩვენებლები პიკზეა, საქართველო გლობალურ პროცესებში ებმება

გვანცა ფულაია

***საქართველოდან რეექსპორტი იზრდება, მასშტაბის მატებაა ყველა მიმართულებით. ქვეყნიდან უმეტესად ავტომობილები და ნავთობი გადის. კიდევ რისი გატანის პოტენციალი აქვს ქვეყანას რეექსპორტზე და როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები 2023 წლიდან?***

სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მონაცემებით, 2022 წლის იანვარ-ნოემბერში ქვეყნიდან რეექსპორტზე 1,630 მლრდ დოლარის პროდუქცია გავიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდზე თითქმის 61%-ით მეტია (2021 წლის 11 თვე - 1,013 მლრდ დოლარი).

რეექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა მეზობელ ქვეყნებში. კერძოდ, რუსეთში ზრდა იყო დაახლოებით 110%, სომხეთში - 201,5%, აზერბაიჯანში - 18,2%, თურქეთში კი - 135%.

რუსეთში რეექსპორტმა 11 თვეში 98,702 მლნ დოლარი შეადგინა, 2021 წლის იანვარ-ნოემბერში კი - 47,058 მლნ დოლარი: მსუბუქი ავტომობილები - 65,246 მლნ აშშ დოლარი, ელექტრული წყალგამაცხურებლები - 10,073 მლნ აშშ დოლარი, სიგარები, სიგარილები და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცვლელებისაგან - 6,096 მლნ აშშ დოლარი.

2022 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოდან თურქეთში 38,057 მლნ დოლარის პროდუქცია „გადაიყიდა,“ წინა წლის ანალოგიურ პერიოდში კი - 16,178 მლნ დოლარის: ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 7,051 მლნ აშშ დოლარი, ფეროშენადნობები - 4, 375 მლნ აშშ დოლარი, მადნები და კონცენტრატები მოლიბდენის - 3,981 მლნ აშშ დოლარი.

მეზობელ ქვეყნებს შორის 2022 წლის იანვარ-ნოემბერში რეექსპორტი ყველაზე მეტად სომხეთში გაიზარდა - 201.5%-ით. შარშან რეექსპორტზე 110,319 მლნ დოლარის ღირებულების პროდუქტი გავიდა, წელს 11 თვეში კი ეს მაჩვენებელი 332,509 მლნ დოლარამდე გაიზარდა: მსუბუქი ავტომობილები - 112, 580 მლნ აშშ დოლარი, ბულდოზერები, ავტოგრეიდერები, ექსკავატორები, სატკეპნი მანქანები და სხვა - 17,306 მლნ აშშ დოლარი, ხორცი ღორის ახალი, გაცივებული ან გაყინული - 8,187 მლნ აშშ დოლარი.

აყველაზე მცირე ზრდა კი აზერბაიჯანში იყო, სადაც 2022 წლის იანვარ-ნოემბერში რეექსპორტმა 459,046 მლნ დოლარი შეადგინა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი - 388,160 მლნ დოლარი: მსუბუქი ავტომობილები - 270,260 მლნ აშშ დოლარი, სამრეწველო დამზადების სხვა თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები - 23,319 მლნ აშშ დოლარი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 17,541 მლნ აშშ დოლარი, ტარა ქაღალდის, მუყაოს, ცელულოზის ბოჭკოს, ბამბის ან ტილოსაგან - 17,441 მლნ აშშ დოლარი, სამკურნალო საშუალებები დაფასოებული - 17,195 მლნ აშშ დოლარი.

სტატისტიკოსი, ეკონომისტი სოსო არჩვაძე ხაზს უსვამს, რომ რეექსპორტის მასშტაბის ზრდა 2023 წელსაც გაგრძელდება.

„რეექსპორტის დროს საქართველოში ხდება პროდუქციის შემოტანა და შემდეგ მისი სხვა ქვეყანაში გატანა. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, სტაბილურობა, დაცულობა და სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობა ტვირთის გადაადგილების დროს - ყველა ეს ფაქტორი მუშაობს იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის, როგორც სატრანსპორტო საკომუნიკაციო ჰაბის, როლი გაიზარდოს.

ბოლო თვეებში რეექსპორტის მატების ტემპი თითქმის ორჯერ აღემატება ადგილობრივი ექსპორტის ზრდის ტემპს, ანუ თანდათანობით მთელ ექსპორტში რეექსპორტის მოცულობა საგრძნობლად მატულობს. პრინციპში, ეკონომიკური შინაარსით, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, დამატებული ღირებულება იქმნება ადგილზე წარმოების პროცესის დროს, ანუ რეალურ სექტორში დოვლათის შექმნით, თუ დოვლათის გადაადგილებით. ასე რომ, რეექსპორტით საკმაოდ წინ წავწევთ ჩვენს ეკონომიკას, შევქმნით სამუშაო ადგილებს და უზრუნველვყოფთ ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას, რა თქმა უნდა, ადგილობრივი წარმოების განვითარების პარალელურად.

უნდა შევძლოთ, რომ ჩვენგან გასულმა პროდუქციამ სულ უფრო და უფრო დიდი სეგმენტი დაიკავოს საერთაშორისო ბაზარზე. ეს შეიძლება იყოს როგორც ადგილობრივი პროდუქციის, ისე რეექსპორტის ხარჯზე. იმაზეა დამოკიდებული, როგორი იქნება მოთხოვნა ჩვენს სამეზობლოში და ასევე სხვა ქვეყნებშიც. ამით ჩვენი ეკონომიკა მხოლოდ მოგებული დარჩება,“ - განაცხადა „რეზონანსთან“ არჩვაძემ.

საქართველოს როლი რუსეთ-უკრაინის ომის დროს საკმაოდ გაიზარდა და გეოგრაფიულმა მდებარეობამ უდიდესი მნიშვნელობა შესძინა მას, თუმცა რეექსპორტის მაჩვენებლის გაზრდას ქვეყანა ომის დაწყებამდეც ახერხებდა.

„არა მგონია, ომის დასრულების შემდეგ ამ ყველაფერს დაკარგვა ეწეროს, რადგან, სხვათა შორის, ჩვენ რეექსპორტს ვზრდიდით 2022 წლის თებერვლამდეც და გვქონდა საკმაოდ მაღალი ტემპი. ამ პროცესის ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდება. პანდემიის სრულმასშტაბიანი დამარცხების შემდეგ კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს მიიღებს საქონელნაკადები და საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის კაპიტალიზაცია მოიმატებს. რეექსპორტის მასშტაბის ზრდა მხოლოდ ომს არ უკავშირდება. საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, რომ ზრდის ტემპი კიდევ უფრო დააჩქაროს,“ - აღნიშნა „რეზონანსთან“ სოსო არჩვაძემ.

ტენდენცია

# საქართველოში საწვავი კიდევ გაიაფდება - სადამდე შეიძლება ჩამოვიდეს ბენზინის ფასი?

## საბითუმო ბაზარზე 1 ლიტრი ბენზინის ღირებულება უკვე 2 ლარს ჩამოსცდა



გვანცა ფულაია

***საქართველოში საწვავის გაიაფების ტენდენცია გრძელდება. მისი ფასი მცირდება როგორც დიდ და პატარა ბენზინგასამართ სადგურებზე, ისე საბითუმო ბაზარზეც. სულ მცირე, სტაბილური ვითარება იქნება ახლო მომავალში და დარგის წარმომადგენლები არც იმას გამორიცხავენ, რომ გაიაფება გაგრძელდეს.***

როგორც ირკვევა, საბითუმო ბაზარზე ბენზინის ღირებულება 2-ლარიან ნიშნულს ჩამოსცდა. მაღალი, თუმცა სტაბილური ფასი აქვს დიზელს. კომპანია „სენტა პეტროლიუმის" დამფუძნებელ ზაალ იაკობიძის ინფორმაციით, საბითუმო ბაზარზე დიზელი 3.30 ლარი ღირს.

„საქართველოს საბითუმო ბაზარზე საწვავის ღირებულება შემცირებულია. ბენზინის ფასი 2 ლარს ჩამოსცდა და, შესაბამისად, საცალო ქსელში 2 ლარს ცოტათი აღემატება. დიზელის ფასი კი ბოლო დროს თითქმის არ შეცვლილა, საბითუმო ბაზარზე 1 ლიტრი 3.30 ლარია, ხოლო საცალო ქსელში 3.50-3.60 ლარი ღირს. ამ მხრივ მხოლოდ სტაბილიზაცია გვაქვს.

ახლო მომავალში როგორი მდგომარეობა იქნება ჩვენთან, ეს დამოკიდებულია იმაზე, რა ფასი იქნება რუსეთისა და საერთაშორისო ბაზარზე, იქ არსებული ვითარება აისახება საქართველოზეც," - აღნიშნა „რეზონანსთან" ზაალ იაკობიძემ და დასძინა, რომ რუსეთისთვის საფასო ლიმიტის დაწესების შედეგი ახალი წლის შემდეგ უფრო გამოჩნდება.

**„დღეს გაძვირება ყოვლად გამორიცხულია, პირიქით, ველოდებით, რომ სტაბილური ვითარება არათუ შენარჩუნდება, არამედ შესაძლოა, საწვავის ღირებულებამ კიდევ დაიკლოს, ანუ რიგმა კომპანიებმა კვლავინდებურად გააგრძელონ გაიაფება."**

„ფასის ზედა ზღვრის დაწესების შემდეგ ველოდებით, თავად რუსეთი რა რეაგირებას მოახდენს, რას გააკეთებენ. ეს ახალი წლიდან უფრო გამოჩნდება, რამეს თუ შეცვლიან, ამ პერიოდიდან იქნება სიახლეები. ჯერჯერობით რამე ცვლილება არ არის მათთან შიდა ბაზარზე," - გვითხრა ზაალ იაკობიძემ.

საქართველოში დადებითი ტენდენცია, უკვე რამდენიმე თვეა, გრძელდება და ამ პერიოდში ბენზინი 60-70 თეთრით გაიაფდა. „გლობალური სავაჭრო ჯგუფის" ხელმძღვანელი ვანო მთვრალაშვილი ადასტურებს, რომ შესაძლოა, საწვავზე ფასმა კვლავ დაიკლოს.

„საქართველოში საწვავის ბაზარზე არსებული ვითარება არათუ სტაბილურია, არამედ ბოლო ორი თვეა, ღირებულება შეუქცევადად მცირდება, რაც ძირითადად ბენზინის ტიპის საწვავს ეხება, როგორც „რეგულარს," ისე „პრემიუმის" კატეგორიას. ორივე პროდუქტზე მნიშვნელოვანი კლება გვაქვს.

რაც შეეხება დიზელს, შეიძლება ითქვას, რომ გაიაფება რაღაც დოზით დაფიქსირდა, თუმცა არა ისეთი დიდი მოცულობით, როგორც ბენზინზე, თუმცა ვითარება იქაც სტაბილურია.

დღეს გაძვირება ყოვლად გამორიცხულია, პირიქით, ველოდებით, რომ სტაბილური ვითარება არათუ შენარჩუნდება, არამედ შესაძლოა, საწვავის ღირებულებამ კიდევ დაიკლოს, ანუ რიგმა კომპანიებმა კვლავინდებურად გააგრძელონ გაიაფება, მით უმეტეს, რომ წინასაახალწლო პერიოდია და ასეთ დროს ისედაც ფასს ქვევით სწევენ, თუნდაც აქციის სახით," - განაცხადა „რეზონანსთან" ვანო მთვრალაშვილმა და დასძინა, რომ რუსეთისთვის საფასო ლიმიტის დაწესებას ჯერჯერობით არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

„რუსეთისთვის ლიმიტის დაწესებას ჯერჯერობით არაფერი მოუტანია. ვითარება მაინც სტაბილურია და უარესობისკენ არ იცვლება. ამ გადაწყვეტილებას ფასებზე უაყოფითი გავლენა არ მოუხდენია. პირიქით, გლობალურ ბაზრებზეც მცირდება ნავთობის ღირებულება," - აღნიშნა „გლობალური სავაჭრო ჯგუფის" ხელმძღვანელმა.

რაც შეეხება მსოფლიო ტენდენციას, საერთაშორისო 'ენერგეტიკულ ბირჟაზე რუსული „ურალსის" მკვეთრი გაუფასურების ტენდენცია გრძელდება. გასულ 24 საათში 1 ბარელი რუსული ნავთობის ფასი კიდევ 5.5%-ით - 53-დოლარიან ნიშნულამდე შემცირდა. ამ დროს 1 ბარელი „ბრენტის" ღირებულება 79-დოლარიან ნიშნულზეა, ამერიკული „ლაითი" კი 76 დოლარად იყიდება.

რუსული ნავთობის გაიაფება პირდაპირ უკავშირდება „დიდი შვიდეულის" წევრი სახელმწიფოების მიერ მის ფასზე 60-დოლარიანი ლიმიტის დაწესებას და 5 დეკემბრის შემდეგ ევროკავშირში საზღვაო გზით გადაზიდვად ნავთობზე ემბარგოს დაწესებას.

გასათვალისწინებელია, რომ აშშ-ში, ბრიტანეთში, კანადაში, იაპონიასა და ავსტრალიაში საზღვაო გზით რუსული ნავთობის იმპორტი ისედაც აკრძალულია, შესაბამისად, ფასის ლიმიტს მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და რუსეთს დასავლეთის ბაზარი, ფაქტობრივად, ისედაც დაკარგული აქვს.

კრემლი ფასის ლიმიტის დამწესებელ სახელმწიფოებს ნავთობის მიწოდების შეწყვეტითაც ემუქრება, თუმცა ამ მუქარის აღსრულებას ბირჟაზე რეალური გავლენა ვერ ექნება, რადგან დიდი შვიდეულის წევრ ქვეყნებს ისედაც შეწყვეტილი აქვთ „ურალსის" იმპორტი.

დასავლური ბაზრების დაკარგვის შემდეგ რუსეთს ძირითად სავაჭრო პარტნიორებად ჩინეთი, ინდოეთი და თურქეთი რჩება, რომლებიც რუსულ ნავთობში 60 დოლარზე გაცილებით იაფის გადახდას აპირებენ.

# მეტრო „გოცირიძეზე" დარჩენილ სამუშაოებს სატრანსპორტო კომპანია შეასრულებს

მეტროსადგურ „გოცირიძეზე" უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციაში მიღების სამუშაოებს სატრანსპორტო კომპანია განახორციელებს. თბილისის ვიცე-მერ ირაკლი ხმალაძის ცნობით, კომპანია „მამისონმა" სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისას დოკუმენტაცია სწორად არ აწარმოა და ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულა, რის გამოც მერია მეტროსადგურს ექსპლუატაციაში ვერ იღებს.

„გოცირიძის მეტროსადგურის რეაბილიტაციისას ისეთი სამუშაოები არ არის დარჩენილი, რომ ახალი კომპანიის ჩართვის საჭიროება იყოს. დეფექტების გამოსწორებას სატრანსპორტო კომპანია საკუთარი ძალებით შეძლებს. ყველაზე ცუდია, რომ კომპანიამ სამუშაოების შესრულების პარალელურად არ აწარმოა შესაბამისი დოკუმენტაცია, არ შესრულდა ყველა საექსპერტო სამუშაო და დღეს ასეთი სურათი გვაქვს, რომ სამუშაოები დასრულებულია, მაგრამ ობიექტს ექსპლუატაციაში ვერ ვიღებთ. ეს მას შემდეგ მოხდება, რაც დადგინდება უსაფრთხოება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარდება.

დღეს ამ სამუშაოების შესრულება და ექსპლუატაციაში მიღება ჩვენი ძალებითაც შეგვიძლია. ამას სატრანსპორტო კომპანია გააკეთებს და ხარჯებს „მამისონისგან" მოვითხოვთ," - განმარტა ხმალაძემ.

ვიცე-მერმა განაცხადა, რომ „მამისონი" უპასუხისმგებლო კომპანიაა, დამფუძნებლებიდან დაწყებული, დირექტორებით დასრულებული. „ბიზნეს მედიის" კითხვაზე - რატომ არ გაწყვიტა დარღვევების აღმოჩენის საწყის ეტაპზე მერიამ შეთანხმება კომპანიასთან და რატომ დააკისრა 600 000 ლარის ჯარიმა, ირაკლი ხმალაძემ უპასუხა:

„სამუშაოების მიმდინარეობისას როდესაც ვადის დაგვიანება გაქვს, ითვლი, რამდენად გაზარალებს ან არ გაზარალებს დროის მიხედვით ახალი ტენდერის გამოცხადება და აქედან ვიღებთ გადაწყვეტილებას. გამომდინარე იქიდან, რომ დღიური ჯარიმა მაღალი იყო, ამ თანხამდე მალე მიაღწია."

ნოემბრის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ მეტროსადგურ „გოცირიძის" სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელი კომპანია „მამისონი" 600 000 ლარით დაჯარიმდა. თბილისის ვიცე-მერმა ირაკლი ხმალაძემ თქვა, რომ კომპანიამ სამუშაოების შესრულება 4-5 თვით დააგვიანა, რაც ძალიან დიდი დარღვევაა.

# ფოთის პორტის გავლით ყაზახური ურანის კანადაში ტრანსპორტირება დასრულდა

ყაზახეთის ეროვნული ბირთვული კომპანია „ყაზატომპრომმა" კანადაში ბუნებრივი ურანის პარტიის მიწოდება დაასრულა ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტით.

„ტვირთი, რომელიც მოიცავს როგორც „ყაზატომპრომის," ისე კომპანია „ინკაის" კუთვნილ ურანს, კანადის პორტში წარმატებით ჩავიდა," - ნათქვამია სახელმწიფო კომპანიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

კომპანია წერს, რომ „ყაზატომპრომი" განაგრძობს მონიტორინგს, რა პოტენციურ გავლენას ახდენს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები ფედერაციის ტერიტორიით მზა პროდუქციის ტრანსპორტირებაზე.

მე-3 კვარტალის საოპერაციო შედეგებში კომპანიამ აჩვენა, რომ, მიმდინარე წლის 26 ოქტომბრის მდგომარეობით, „ყაზატომპრომის" კუთვნილი ტვირთის ნაწილი ფოთის პორტში იყო, სადაც კონსოლიდირებისა და ჩარტერულ გემზე ჩასატვირთად დამატებითი მასალის ჩასვლას ელოდებოდა, რათა საბოლოო დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირება დასრულებულიყო.

იმავე პერიოდში საქართველოს შემოსავლების სამსახურმა ყაზახური ურანის საქართველოს გავლით ტრანსპორტირება დაადასტურა და განაცხადა, რომ „ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა."

„ყაზატომპრომი" აცხადებს, რომ ტრანსკასპიური მარშრუტით ურანის პროდუქტების ტრანსპორტირებისთვის შავ ზღვაში გემების დაქირავება საჭირო, რადგან ამ მარშრუტზე მომუშავე კომერციული გადამზიდავი კომპანიები არ არსებობენ.

„ყაზატომპრომი" პარტნიორებს არწმუნებს, რომ დღეისთვის ალტერნატიული მარშრუტის წყალობით არ არსებობს არანაირი შეზღუდვა მომხმარებლებისთვის მზა პროდუქციის მთელ მსოფლიოში მისაწოდებლად.

„ყაზატომპრომს" ტრანსკასპიური მარშრუტით ყაზახეთის მაღაროებიდან 3500 ტონამდე ურანის ტრანზიტის ნებართვა აქვს და ამ კვოტის გასაზრდელად მუშაობას განაგრძობს.

**იმპორტირებული საწვავის ფასი ადგილობრივ ბაზარზე**

(1 ტონა/აშშ დოლარი)

| | 2 დეკემბერი | 1 დეკემბერი |
|---|---|---|
| ბენზინი | 788,50 | 964,75 |
| დიზელი | 863,50 | 901,25 |
| ნავთი | 958,50 | 994,75 |
| მაზუთი | 465,25 | 485,25 |

**ძვირფასი ლითონების ფასები**

ოქროს ფასის დინამიკა ლონდონის ბირჟაზე




**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

2022 წლის 22 დეკემბერი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,6646 |
| ევრო | 2,8287 |
| გირვანქა სტერლინგი | 3,2314 |
| 100 იაპონური იენი | 2,0212 |
| შვეიცარიული ფრანკი | 2,8751 |
| თურქული ლირა | 0,1427 |
| 100 რუბლი | 3,7721 |

**ოპეკის ფასთა კალათა**

(1 ბარელი/აშშ დოლარი)

| | |
|---|---|
| 12 დეკემბერი | 74,94 |
| 13 დეკემბერი | 78,34 |
| 14 დეკემბერი | 79,97 |
| 19 დეკემბერი | 78,11 |
| 20 დეკემბერი | 78,13 |

**შენიშვნა:** *ოპეკის ფასთა კალათა 1987 წლიდან დგინდება. იგი 7 ტიპის ნედლი ნავთობის (ალჟირი, ინდონეზია, ნიგერია, საუდის არაბეთი, დუბაი, ვენესუელა, მექსიკა) ფასების საერთო შეწონილის ტოლია.*

განცხადება ესემესის საშუალებით

**593 225 225**

სარეკლამო სამსახური: 593 105 105

### ვიყიდი, გავყიდი, ვიქირავებ, ვაქირავებ, ვაგირავებ ბინას

ახლადაშენებულ პრემიუმ-კლასის სახლში იყიდება ბინა (100 კვ.მ.) რემონტის პროცესში. ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით. ტელ. 592 150 764 (ანა)

დედაქალაქში მთაწმინდის რაიონში, დიდი ქართველების წმ. ექვთიმე ღვთისკაცის, შ. ნუცუბიძის, გ. წერეთლის, გიორგი და ელენე ახვლედიანების და სხვათა ნაცხოვრებ და ნასულდგმულებ მემორიალურ მიკრო უბანში, ქალაქის ცენტრში ქირავდება ხანგრძლივი ვადით 5-7 კაციანი შემადგენლობის, სერიოზული ოფისისთვის, ავტომანქანის სადგომითა და მომსახურების საშუალებით, ძველ სახლში საუკეთესო მდებარეობითა და განლაგებით 84 კვმ. ფართის, 5 ოთახიანი, მაღალჭერიანი, შემდგომი განვითარების პერსპექტივით, მზიანი კუთხის ბინა, ბინა მოვლილი და ცარიელია, ფასი 2750 ლარი. ტ: 294-62-91, 593 93-62-91, მის: ეკალაძის 3

იყიდება ახალი აშენებული, სეისმიურად მდგრადი 2-სართულიანი სახლის პირველი სართული, ძველ უბანში ვორონცოვთან ახლოს, ჯამური ფართი შეადგენს 82 კვმ. აქედან საცხ. ახალი ფართი შეადგენს 75 კვმ. და ეზოში ძველი ფართი 7 კვმ.-ს სახლი გარედან მოპირკეთებულია, ფანჯრები და შესასვლელი კარი ჩასმულია, ელექტრო სადენები ჩაწყობილია, კედლები გალესილია. ფასი 75000 ტ:599 55-92-69

იყიდება ვაკეში, რუსეთის საელჩოსთან კაპიტალური ავტოფარეხი, 36 კვ.მ. ფართის, გატარებული საჯარო რეესტრში, გამოდგება საწყობადაც. ფ.შ.ტ: 599 98-80-88

იყიდება ქალაქის ცენტრში ბახტრიონის ქუჩის დასწყისში, კაპიტალური ავტო-ფარეხი. ფართი 27 კვ.მ. ასევე გამოდგება კომერციული საქმიანობისათვის. ტ: 599 28-19-42

იყიდება სამოთახიანი, მაღალჭერიანი, გარემონტებული ლამაზი ბინა, აივნით, სარდაფით, მე-3 სართული, ექვთიმე ღვთისკაცის ტაძრის პირდაპირ, 24-ე სკოლასთან, ალმაშენებლის 150, დანიურ სახლთან ტ: 599 31-00-44

თბილისში, მეტრო „ავლაბართან" ახლოს წურწუმიაზე იყიდება ბინა, გარემონტებული, გასაქირავებლად მოწყობილი 22 კვ.მ. სტუდიო+16 კვ.მ.ვერანდა მე-2 სართული, ფ. 27000 ტ: 598 11-39-10

ქირავდება ნაძალადევის რაიონში ოთახი, მესამე სართული საკუთარ სახლში, სასურველია 1 გოგონა, ფასი 300 ლარი, აბაზანით, სამზარეულოთი, სარეცხი მანქანით, მაცივრით. ტ: 598 37-57-78

მ. დიდუბესთან, ზედა მხარეს ქირავდება ბინა. დაბალ ფასებში. ტ: 599 26-50-26, ტ: 593 74-55-61

ქირავდება ბინა კინო „საქართველოსთან", საკუთარ სახლში, მე-3 სართულზე, საკუთარი აბაზანა ტუალეტით, სამზარეულოთი. სასურველია 1 ან 2 ქალბატონი. ფ.შ. ტ: 593 74-55-61

იყიდება ქ. გურჯაანში, ცენტრალურ ადგილზე, ბაზართან ახლოს, ბაღით, დიდი ეზოთ 2 სართულიანი სახლი, 630 კვ.მ. 17 ოთახი, აქედან 11 ოთახი მე-2 სართულზე, პირველ სართულზე 6 ოთახი, მარანი ქვევრებით, 2 სამზარეულო, 5 სვ.წერტილი კაფელში, 2 დიდა კიბე, 1 გარე კიბე, ვერანდა 40 კვმ. ხეხილიანი ეზო 1100 კვ.მ. ყველანაირი კომუნიკაციით. ფ.შ. ტ: 599 98-80-88

იყიდება ვაკეში რუსეთის საელჩოსთან 2-სართულიანი სახლი 200 კვ.მ. ფართის, ევრო რემონტით, ცენტრ. გათბობით, კონდიციონერით, 2 სვ. წერტილით, ყველანაირი კომუნიკაციით, გატარებული საჯარო რეესტრში, ფასი 225000. ტ: 599 98-80-88

ქირავდება ბინა კინო „საქართველოსთან", საკუთარ სახლში, მე-2 სართულზე, საკუთარსახლში, სასურველია 1 გოგონა. ფ.შ. ტ: 593 74-55-61

სასწრაფოდ იყიდება საკუთარი სახლი კაიროზე, გამიჯნული 2 საკუთარი სახლი, ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 593 45-55-81 დარეკეთ დილის საათებში

იყიდება ალმაშენებლის 250-ში, ისრაელის სელჩოსთან, ოთხოთახიანი, მაღალჭერიანი ბინა, სარდაფით, რემონტით, 78 კვ.მ. ტ: 599 31-00-44

### ვყიდი, ვიყიდი მიწის ნაკვეთს, აგარაკს

იყიდება მცხეთის რაიონში, სოფ. წილკანში 2500 კვ.მ. სასახლკარე, შემოღობილი, ხეხილიანი მიწის ნაკვეთი, გზისა და სარწყავი არხის პირას, კომუნიკაციები იქვეა. ფ.შ.ტ: 595 61-77-61

იყიდება მცხეთის რაიონის, სოფ. მუხრანში 1500 კვ.მ. სასახლკარე მიწის ნაკვეთი, ასფალტოვანი გზის პირას, შატო მუხრანთან ძალიან ახლოს, კომუნიკაციები იქვეა, დასახლებულ უბანში, ტელეფონი: 555 26-50-10

იყიდება მცხეთის რაიონში, სოფელ ნავაზში 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, 1 კვ. ფასი 15, არის გაზი, სარწყავი წყალი, მოსახლეობასთან ახლოს. ტ: 577 07-84-06

იყიდება სააგარაკე სამსართულიანი (ორი სართული+ მანსარდა) სახლი წეროვანში. ფართი 150 კვმ; ეზო - 600 კვმ, ეზოში არის ხეხილი, აუზი, საბილიარდე, ავტოფარეხი, ორი სველი წერტილი. ფ.შ. ტ:551274867, 599573277

იყიდება სასწრაფოდ ბაკურიანში ახლადაშენებულ კორპუსში ბინა კოხტის ძირში, მე-3 კორპუსი, მე-4 სართული, 64 კვ.მ. ფართის, არის ლიფტი, გაყვანილია კანალიზაცია, ელექტროობა, გალესილია კედლები, დაგებულია „სტიამკა", ესაჭიროება კოსმეტიკური სამუშაოები. ტ: 599 42-63-11, 595 717-999

იყიდება სასწრაფოდ, საჩხერის რაიონში, სოფ. კორბოულში საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, 1300 კვ.მ. კარგ ადგილას, ბაზრის მოპირდაპირე მხარეს, 1 კილომეტრში, მაჭარაშვილების უბანში, ხეხილით და თავის საკუთარი კამკამა ჭის ცივი წყალით. ფ.შ. ტ: 591 88-14-48

იყიდება მიწის ნაკვეთი სოფ. დიღომში, 700 კვ.მ. დასახლებულ ტერიტორიაზე, ნაკვეთი შემოფარგლულია კედლებით, აქვს რკინის კარი, არის ხეხილი, ასევე ყველა კომუნიკაცია, ნაკვეთთან არის ავტობუსის და სამარშრუტო ტაქსის გაჩერება. ფ.შ. ტ:511 19-99-36, 551 31-20-40

სასწრაფოდ იყიდება მიწის ნაკვეთი 12000 კვ.მ. დიდ დიღომში, III მ/რ-ში, შესაძლებელია ნაკვეთის ნახევრის გაყიდვაც, ნაკვეთს აქვს 2 მისასვლელი გზა, არის ყველა კომუნიკაცია, ნაკვეთს აქვს სამშენებლო ზონა №3. ფ.შ. ტ:511 19-99-36, 551 31-20-40

იყიდება მუხრანში სასახლკარე მიწის ნაკვეთი 1500 კვ.მ. ძალიან კარგ ადგილას. ტელეფონი: 555 26-50-10

იყიდება ზაქაროში 1700 კვ.მ. ნაკვეთი საკადასტრო №72. 04.10.378 კომუნიკაციებით, დამიკავშირდეს მხოლოდ მყიდველი. ტ: 558 25 00 09

### სხვადასხვა

იყიდება ნატურალური ღვინო, რქაწითელი და მანავის მწვანე კუპაჟით. 1-ლ- 5 ლარი. ტ: 551 17-71-82

იყიდება მისაღებ ფასად ტრენაჟორი „ლაიფ გეა". ფ.შ. თხილამურები- ფასი 550 ლარი, იაფად. ტ: 551 96-55-86

დავამზადებთ მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებს, მწერებისგან დამცავ ბადეებს, შევაკეთებთ დაზიანებულ კარ-ფანჯრებს. ტ: 599 20-48-98

იყიდება ავეჯის დამამზადებელი საამქროს ახალი საზღვარგარეთული მანქანა და დანადგარები, ფ.შ. ტელეფონი: 899 79-95-20 კოტე, 895 72-94-97

ავეჯის გადაზიდვა. ტელ: 593 20-46-87

ვაქირავებ სრულიად ახალ, გაუხსნელ სტომატოლოგიურ კაბინეტს. ტ: 558 122-433

იყიდება ძველი რუსული ბილიარდის მაგიდა დიდი ზომის. ტ: 558 122-433

სასწრაფოდ იყიდება იდეალურად მუშა მდგომარეობაში უძლიერესი მობილური ტელეფონი **OUKITEL C 23, PRO..4G\64GB** ელემენტი **5000\MAH,** შავი ფერის, ქეისით, პასპორტით, ყურსასმენით, ორიგინალი დამტენით, ფ. 360 ლარი. ტ: 591 88-14-48

გათბობის მილების, რადიატორების, გათბობის ქვაბების, სანტექნიკური ცივი და ცხელი, კანალიზაციის მილების, მონტაჟი-შეკეთება, სანტექნიკური მოწყობილობების მონტაჟი-რემონტი. ტ: 557 49-75-00

მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა ექსპერტის მიერ ტ: 599 375-460

ვიმუშავებ საკუთარი მანქანით, მყავს მსუბუქი მანქანა მერსედესი, საუკეთესო მდგომარეობაში, ვიმუშავებ კერძო პირთან ან უცხოელთან. ტ: 597 74-12-47, 599 25-79-27

საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი გაგიწევთ იურიდიულ მომსახურებას. ტ: 268-07-27, 593 40-59-70 თეიმურაზ დიდებაშვილი

ტვირთის გადაზიდვა. ტ: 599 26-50-26

შეიძენ ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს, ძველ ნივთებს. ტ: 598 43-98-57

**ვასრულებთ**

ნებისმიერ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს, გვაქვს 10 წლიანი გამოცდილება, გაგირემონტებთ ბინებს, ოფისებს, აგარაკებს დავაშენებთ მანსარდებს, ვაკეთებთ აივნებს, ვასრულებთ გადახურვით სამუშაოებს სწრაფად, ხარისხიანად და ხელმისაწვდომ ფასებში.

**ტ: 598 53-93-47**

მეფილე-მომპირკეთებელი გაგიკრავთ კაფელს, მეტლახს, ვმუშაობ დიდი ხნის გამოცდილებით. ტ: 599 20-00-62

შევასრულებ სამალიარო სამუშაოებს, ევრო რემონტს შეღავათიან ფასებში. ტელეფონი: 557 93-69-78

იყიდება ლეიბის მატყლი. ტ: 595 55-36-01, 230-39-36

ნებისმიერი მარმარილოთი ვაპირკეთებ ბუხრებს, ეზოში ვაშენებ და ვაპირკეთებ წყაროებს, ბინაში კიბეებს, რაფებს მარმარილოში და სამზარეულოებს. ტ: 593 32-90-67

ბინის რემონტი („მალიარი"), ვასრულებ სამღებრო, სარემონტო სამუშაოებს, კედლების დაშპაკვლა, შპალერის გაკვრა, კედლების ღებვა, ხარისხის გარანტიით, ფასზე შევთანხმებით. ტელ: 555 18-02-16

სტაჟირება მშენებლობა-რეკონსტრუქციის ტექნიკურ ზედამხედველობაში ექსპერტის მიერ. ტ: 577 599-376

ვარ ოჯახის ელექტრიკი: ვაკეთებ ელექტრო გამათბობლებს, გამოვცვლი დაზიანებულ ჩამრთველებს და გამომრთველებს, ავანთებ ნათურებს და სხვა. ტ: 555 21-14-75

ბინაზე ვიზიტით ვაკეთებ კბილების მოსახსნელ პროტეზებს, ჩვეულებრივს და -რბილ ნეილონის, შეღავათიან ფასებში. ტ: 557 63-56-58

გვესაჭიროება მლესავი. ტ: 593 71-14-53

### ვმკურნალობ მოვუვლი

მკურნალობა: ხერხემლის თიაქარი (პროთრუზია), ართროზი, მარილების დაგროვება, ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, მენისკი, შლატერი, სპორტული ტრავმები, ძვალსახსროვანი დაავადებები. ტ: 599 44-44-89

სასწრაფოდ, მესაჭიროება სამსახური, მოვუვლი მოხუცს, მაქვს კარგი გამოცდილება, სასურველია სადღეღამისო ადგილზე ცხოვრებით. ტ: 555 59-58-98 ირმა

40 წლის ქალბატონი დიდი გამოცდილებით და სამედიცინო განათლებით ვიმუშავებ მოხუცებული ქალბატონის მომვლელად. ტ: 579 03-25-30, 599 03-25-30

### ვასწავლი ვისწავლი

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს, მსურველებს, აბიტურიენტებს რუსულ ენაში, შევასწავლი საფუძვლიანად გრამატიკას ბინაზე მისვლით დროის შეზღუდვის გარეშე, მაქვს მრავალწლიანი გამოცდილება, ფასი შეთანხმებით. ტ: 557 30-16-67

გამოცდილი და სერთიფიცირებული პედაგოგი ვამზადებ ქართულში აბიტურიენტებს და მოსწავლეებს ტესტური მეთოდით, შეღავათიან ფასად, ინდივიდუალურად, მაღალი ქულების გარანტიით, ასევე ვასწავლი არაქართულენოვანებსაც. ტ: 2525503, 555 575485, 577 33-84-99

ვასწავლი ინგლისურს სკოლის მოსწავლეებს, სკოლის პროგრამას დამატებით თანამედროვე სახელმძღვანელოებით, შესაძლებელია ბინაზე მისვლა ცენტრალურ უბნებში. ტ:574 16-50-33

მოვამზადებ ინგლისურ ენაში ლიტერატურული მთარგმნელი აბიტურიენტებს და სტუდენტებს, ასევე ვთარგმნი ქართულიდან ინგლისურად და პირიქით სხვადასხვა სირთულის ტექსტებს. ტ:577 76-20-64:

გთავაზობთ გერმანული ენის შესწავლას, სპეციალური ტესტებისა და აუდიო მასალის გამოყენებით, გერმანული ენის სასერთიფიკატო გამოცდების ჩაბარებას, აგრეთვე სამ თვეში სასაუბრო ენის შესწავლას, 8 გაკვეთილის ფ.შ. ტ: 511 10-86-62

### საყოფაცხოვრებო ნივთები

იყიდება ჩეხური ბროლის ჭაღები: 6 სანთლიანი - 300 ლარი, 9 სანთლიანი -500 ლარი. ტ: 574 47-91-27

იყიდება ვიდეო მაგნიტოფონი „JVS" ტელ: 595 55-36-01, 230-39-36

### ვყიდი, ვიყიდი ავტოტრანსპორტს

სასწრაფოდ იყიდება ამერიკული ჯიპი სუზუკი გრანდ ვიტარა", 2002 წ 2,5 ძრავი, შესანიშნავ მდგომარეობაში, ორიგინალ კატალიზატორებით და ორიგინალი გარბენით 210-892 კმ. ტელ: 591 88-14-48


## გთავაზობთ სამკურნალო პრეპარატ „ფერტილოგენს"

**ფარმაკოლოგიური თვისებები:** „ფერტილოგენი" ხასიათდება ანტიმიკრობული, ანთების საწინააღმდეგო და ანტივირუსული თვისებებით. გამოიყენება სხვადასხვა სახის ინფექციით გამოწვეული უნაყოფობის კომპლექსურ თერაპიაში. იგი აუმჯობესებს ორგანიზმის იმუნური სისტემის ფუნქციას და ხელს უწყობს ქსოვილების რეგენერაციას.

**პრეპარატი აქვეითებს აუტოიმუნურ ანტისხეულებს:** სისხლში - ანტიოვარიულ, ანტითირეოიდულ და ზონაპელუციდას საწინააღმდეგო; საშვილოსნოს ყელის და ვაგინალურ სეკრეტში - ანტისპერმალურ ანტისხეულებს. აქრობს ან ამცირებს ქრონიკულ და რეციდიულ ანთებით პროცესებს რეპროდუქციულ ორგანოებში.

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:** „ფერტილოგენი" ეფექტურია ორმხრივი ჰიდროსალპინგსის, პიოსალპინგსის, საშვილოსნოს მილების გაუვალობის და მცირე მენჯის ღრუში შეხორცებითი პროცესის დროს. იგი ხელს უწყობს საშვილოსნოსა და მისი დანამატების ნორმალური ანატომიური სტრუქტურის აღდგენას, რომელიც დარღვეულია ანთებითი პროცესებით. აუმჯობესებს მცირე მენჯის ღრუს ორგანოების მიკროცირკულაციას, აქრობს და ამცირებს ქრონიკულ და რეციდიულ ანთებით პროცესებს საშვილოსნოში და მის დანამატებში.

**გამოყენების ჩვენებები:** „ფერტილოგენი" ინიშნება ფოლიკულური და ტუბოოვარიალური წარმონაქმნების დროს, ენდომეტრიოიდული კისტებისა და საკვერცხეების პოლიკისტოზის სინდრომის დროს, აგრეთვე პირველადი და მეორადი უნაყოფობის, საშვილოსნოს ყელის ეროზიის, ენდომეტრიტის, ენდოცერვიციტის, ოოფორიტის და შარდ-სასქესო გზების ფუნქციური დარღვევის დროს.

**უკუჩვენება: არ არის დადგენილი.**

**გვერდითი მოვლენები: არ არის დადგენილი**

პრეპარატი შეგიძლიათ შეიძინოთ შემდეგ აფთიაქებში:
მისამართი: ყაზბეგის გამზირი №47ბ
მელიქიშვილის №7
(შესაძლებელია რეგიონებში მიწოდებაც)

**ტ:599 71 32 75**


„რეზონანსი" აქვეყნებს სამგლოვიარო განცხადებებსა და გახსენებებს. განცხადებები მიიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა. შემდეგ მისამართზე: გოთუას №3. ტელ: 593 105-105


## გთავაზობთ

ვაკანსიების, ტენდერების, აუქციონების განთავსებას გაზეთ „რეზონანსში"

ინფორმაციისათვის დარეკეთ: ტ: 593 105-105, 12-17 სთ-მდე.

განცხადებების ტექსტი გამოგზავნეთ მეილზე:

**resreklama@yahoo.com**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრამპს, შესაძლოა, 4 დანაშაულში წაუყენონ ბრალი



(რეზონანსი) ტრამპს, შესაძლოა, 4 დანაშაულში წაუყენონ ბრალი, აღნიშნულია კონგრესის საგამოძიებო კომიტეტის საბოლოო დასკვნაში.

ათასი მოწმის გამოკითხვისა და ასობით ათასი დოკუმენტის გაცნობის შემდეგ საგამოძიებო კომიტეტი იუსტიციის დეპარტამენტს ტრამპისთვის ბრალის წაყენებას ურჩევს.

ბრალდებებს შორის სახელდება: კონგრესის პროცედურისადმი დაუმორჩილებლობა, მისთვის ხელის შეშლა, შეთქმულება შეერთებული შტატების წინააღმდეგ, ყალბი განცხადებებით გამოსვლა და კონგრესზე თავდასხმის ხელშეწყობა. დასკვნას იურიდიული ძალა არ აქვს, თუმცა მნიშვნელოვანი დოკუმენტია იუსტიციის დეპარტამენტისთვის, რომელმაც საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

# შობა-ახალი წლის უქმე დღეები გახანგრძლივდა - რა გადაწყვეტილება მიიღო მთავრობამ და როდემდე შეძლებთ დასვენებას



(რეზონანსი) პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებულთათვის 2023 წლის 3 იანვრიდან 6 იანვრის ჩათვლით უქმე დღეებად განისაზღვრა.

როგორც პრემიერის მიერ ხელმოწერილ დადგენილებაშია აღნიშნული, ადმინისტრაციული ორგანო განსაზღვრავს მის დაქვემდებარებაში არსებულ და სისტემაში შემავალ სამსახურებსა და მოსამსახურეებს, რომელთა მიმართაც არ გავრცელდება ეს დადგენილება, თუ მათი ფუნქციების შესრულება სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისა და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის გადაუდებელი აუცილებლობაა.

დადგენილება არ ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული პირების წინაშე შესასრულებელ ფინანსურ ვალდებულებებზე.

არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობაზე.

# „გადავდგები, როგორც კი ვიპოვი საკმარისად სულელს ამ თანამდებობის დასაკავებლად“ - მასკი

(რეზონანსი) „ტვიტერის“ აღმასრულებელი დირექტორი ილონ მასკი წერს, რომ დაკავებულ თანამდებობას დატოვებს მაშინვე, როგორც კი იპოვის „საკმარისად სულელს“ ამ პოსტისთვის.

მილიარდერმა 18 ნოემბერს „ტვიტერზე“ გამოაქვეყნა გამოკითხვა და მომხმარებლებს ჰკითხა, გადამდგარიყო თუ არა. კითხვას დადებითად უპასუხა 57.5%-მა და მასკმა თქვა, რომ გამოკითხვის შედეგებს დაემორჩილებოდა.

იგი ამბობს, რომ კვლავ გაუშვებს პროგრამული და სერვერების გუნდებს მისი შემცვლელის აღმოჩენის შემდეგ.

# კალაძე: „კომპანია, რომელიც მეტრო „გოცირიძის“ რეაბილიტაციას აკეთებდა, არის უპასუხისმგებლო, გაწყვიტეთ ხელშეკრულება ამ კომპანიასთან!“



(რეზონანსი) დედაქალაქის მერმა თბილისის მთავრობის სხდომაზე ისაუბრა შპს „მამისონზე,“ რომელიც მეტროსადგურ „გოცირიძის“ რეაბილიტაციაზე მუშაობდა და მასთან ხელშეკრულების გაწყვეტა მოითხოვა.

„სამუშაოების დაგვიანების გარდა, მნიშვნელოვანია, რომ კომპანიამ არ აწარმოა საჭირო დოკუმენტაცია, ჯერ არ ჩატარებულა შესაბამისი ექსპერტიზა. მიმდინარეობს ექსპულატაციაში მიღების პროცედურები, დადგენილია გარკვეული დეფექტები, რომელსაც სჭირდება გამოსწორება.

აღნიშნული კომპანია, ვინც ამდენი ხნის განმავლობაში აწარმოებდა სამუშაოებს, არის ძალიან პრობლემური, უპასუხისმგებლო კომპანია, შესაბამისად, ჩვენ არ ვთვლით საჭიროდ, რომ მოხდეს ამ კომპანიასთან სამუშაოების გაგრძელება და არც იმაში ვართ დარწმუნებული, რომ ეს კომპანია დადგენილი დეფექტების გამოსწორებას შეძლებს. მინდა, დავავალო ვიცე-მერს, ასევე სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელს, რომ გაწყვიტოთ ხელშეკრულება აღნიშნულ კომპანიასთან. ეს არის უპასუხისმგებლო კომპანია და არ გვაქვს სურვილი მათთან თანამშრომლობის. მიიღეთ ყველა ზომა, რომ აღნიშნული კომპანია ვერც ერთ სატენდერო პროცედურებში ვეღარ მოხვდეს მომდევნო წლების განმავლობაში. გააკეთეთ ყველა გადასადგმელი ნაბიჯი, რაც მოახდენს აღნიშნული კომპანიის გაშავებას. ასეთი კომპანიები არის მხოლოდ და მხოლოდ დამაზიანებელი.

აყველანაირი ხელშეწყობა იყო ჩვენი მხრიდან, მესმის, რომ იყო გარკვეული პრობლემები, დადგინდა ხარვეზები, აღნიშნული ბაქანი რეაბილიტაციას არ ექვემდებარებოდა, ყველაფრის გათვალისწინებით, მესმის, რომ იყო პრობლემები ამდენი ხნის განმავლობაში. ელემენტარულ დოკუმენტწარმოებას ვერ ახორციელებ და არ გაქვს დოკუმენტები წარმოდგენილი, ეს ძალიან მძიმეა. შესაბამისად, ყველა სამუშაო, რაც არის ჩასატარებელი და გამოსასწორებელი, აიღეთ პასუხისმგებლობა და ჩვენვე გამოვასწოროთ. თანხები, რაც დაიხარჯება, სასამართლოს გზით მოსთხოვეთ აღნიშნულ კომპანიას. აღნიშნული კომპანია გახლავთ შპს „მამისონი.“ რაც შეიძლება სწრაფად გამოვასწოროთ დეფექტები, რაც არის დადგენილი და ყველაფერი გავაკეთოთ, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ექსპულატაციაში მიღება და მოემსახუროს მგზავრებს,“ - განაცხადა კახა კალაძემ.


**საჯარო განცხადება აუქციონის დანიშვნის შესახებ**
**საჯარო აუქციონის საიდენტიფიკაციო ნომერი: 1824**

სპეციალისტი: შპს "კონსალტინგ გრუპს" ს/კ 404483536
დირექტორი: ნინო არაბიძე
მისამართი: ქ. თბილისი, ვ. პეტრიაშვილის N 10
ელ ფოსტა: auction@consultinggroups.com.ge
საბანკო ანგარიში: GE44TB7747836020100004
სპეციალისტი აცხადებს პირველ საჯარო აუქციონს მესაკუთრის სახელზე რიცხულ, კრედიტორის
ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.
კრედიტორი: სს თიბისი ბანკი (ს/კ 204854595)
მესაკუთრე: შპს ალმა , პირადი N 402129193
მოვალე (მსესხებელი): შპს ალმა , პირადი N 402129193
იპოთეკის ხელშეკრულება: 1231232833764 , თარიღი 20/11/2020
იპოთეკის რეკვიზიტები: მისამართი მცხეთა, სოფელი მუხრანი , საკადასტრო კოდი: 72.09.45.074
სასესხო დავალიანების ჯამური ოდენობა: N1231232833764 იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტორის მოთხოვნა: 180,422.84 ლარი.
აუქციონის ჩატარების დრო: 09/01/2023 16:00 საათიდან 11/01/2023 12:30 საათამდე
აუქციონის ჩატარების ადგილი: ვებსაიტი auction.livo.ge
უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 221253.48 ლარი
უძრავი ნივთის აღწერა: არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაზუსტებული ფართობი: 1445 კვ.მ; მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით: N1, ფართი: 19.80 კვ.მ; შენობა N2, ფართი: 102.20 კვ.მ; შენობა N3, საერთო ფართი: 1269.19 კვ.მ (მათ შორის, I სართული - 676.65 კვ.მ; სარდაფი - 592.54 კვ.მ); მდებარე: მცხეთა, სოფელი მუხრანი
გარდამავალი უფლებები: არა
აუქციონის პირობები: ა) აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა პირს, მათ შორის კრედიტორს, მოვალეს ან/და უძრავი ქონების მესაკუთრეს.
ბ) Auction.livo.ge აუქციონში მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია და გადაიხადოს საგარანტიო თანხა პერსონალური ბალანსის მეშვეობით. მომხმარებელს პერსონალურ ბალანსზე თანხის შეტანა შეუძლია ვებ-გვერდზე მითითებულ კომპანიის ანგარიშზე: ა) ნებისმიერი ბანკის მეშვეობით, სპეციალური დანიშნულების მითითებით; ბ) საბანკო ანგარიშიდან გადმორიცხვით; გ) ვებგვერდზე პლასტიკური ბარათის მონაცემების შეყვანით.
გ) იმ შემთხვევაში, თუ აუქციონზე საწყისი ფასი არის 100 000 ლარამდე, ბიჯის ოდენობა განისაზღვრება - 100 ლარის ოდენობით; 100 000 ლარიდან 500 000 ლარის ჩათვლით - 500 ლარის ოდენობით; ხოლო, 500 000 ლარზე მეტის შემთხვევაში - 1000 ლარის ოდენობით; აუქციონი გრძელდება ბოლო შემოთავაზებამდე. აუქციონზე გამარჯვებულია ის პირი, ვინც უფრო მაღალ ფასს შესთავაზებს.
დ) აუქციონში გამარჯვებულმა აუქციონის თანხა სრულად უნდა შეიტანოს სპეციალისტის სადეპოზიტო ანგარიშზე აუქციონის დასრულების დღიდან 7 საბანკო დღის მანძილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს მის მიერ საბანკო გარანტიის სახით წარმოდგენილ თანხას და უქმდება მისი, როგორც აუქციონზე გამარჯვებულის სტატუსი.
ე) აუქციონში გამარჯვებულის მიერ შესაბამის ვადაში აუქციონის თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში შპს "კონსალტინგ გრუპს" მასზე გადასცემს განკარგულებას ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების შესახებ.
ვ) იმ შემთხვევაში თუ მიწის ნაკვეთის (ქონების) სტატუსი რეალიზაციის მომენტისათვის წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეოს, მონაწილე პირი უნდა აკმაყოფილებდეს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ მოთხოვნებს; ასეთ შემთხვევაში აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარადგინოს იმის დამადასტურებელი ინფორმაცია, რომ იგი აკმაყოფილებს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ მოთხოვნებს;
ყურადღება: ქონების რეალიზაცია შესაძლებელია თავიდან იქნას აცილებული, თუ ნებისმიერი პირი (მათ შორის მსესხებელი, უძრავი ქონების მესაკუთრე ან/და სხვა დაინტერესებული პირი) აუქციონის დაწყებამდე განახორციელებს მსესხებლის მიერ კრედიტორის მიმართ არსებული სასესხო და მასთან დაკავშირებული ხარჯების დავალიანების სრულად დაფარვას. ყველა პირი, რომელსაც აქვს რაიმე სახის უფლებები უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარმოადგინოს აუქციონის დაწყებამდე წერილობითი ფორმით სპეციალისტთან.
კრედიტორს მოთხოვნა უცხოურ ვალუტაში აუნაზღაურდება აუქციონის დასრულების დღის კურსით.
აუქციონის შეწყვეტის შემთხვევაში შეწყვეტის საკომისიო შეადგენს აუქციონის საწყისი ფასის 0.59 პროცენტს;
**სპეციალისტი: შპს "კონსალტინგ გრუპს", ს/კ 404483536**
**დირექტორი ნინო არაბიძე**

ISSN 2233-3991

9 772233 399008

2022 წლის 22

რეზონანსი | მთელი კვირა | 1001 რეკლამა

დამფუძნებელი: ზურაბ მაჭარაძე
მისამართი: თბილისი, გოთუას№3.

www.resonancedaily.com

სარეკლამოს უფროსი: მედეა იოსავა
ტელ: 593 105 105
e-mail: resreklama@yahoo.com

„რეზონანსის" მთავარი რედაქტორი - ზურაბ მაჭარაძე; მთავარი რედაქტორის მოადგილე - მალხაზ გაგუა; მთავარი რედაქტორის მოადგილე - ბესო მამინაიშვილი; მთავარი რედაქტორის მოადგილე - აკაკი გვიმრაძე; ეკონომიკის რედაქტორი - ზვიად შვანგირაძე;

„მთელი კვირის" რედაქტორი - ბესო მამინაიშვილი;
„ბიზნეს რეზონანსის" რედაქტორი - ზვიად შვანგირაძე;

"Resonance" Editor in Chief - Zurab Matcharadze; Deputy Editor in Chief - Malkhaz Gagua; Deputy Editor in Chief - Beso Maminaishvili; Deputy Editor in Chief - Akaki Gvimradze; Economic Editor - Zviad Shvangiradze "Whole Week" Editor - Beso Maminaishvili;"Business Resonance" Editor - Zviad Shvangiradze
Resonance Ltd. 3 Gotua.Tbilisi, Georgia

შემოსული წერილები მიიღება ელექტრონული ფორმით მხოლოდ ელ. ფოსტის resonancedaily@yahoo.com ან ფეისბუკის გვერდის www.facebook.com/TheResonanceDaily საშუალებით. ტექსტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 600 სიტყვას.

გაზეთზე ხელმოწერა შეგიძლიათ გააფორმოთ შემდეგ ორგანიზაციებში: შპს ჯეომედია 295-51-70, შპს „მერკური" 238-26-74; შპს „პლანეტა ფორტე" 292-18-59;

ჩარჩოში ჩასმული და რუბრიკით „ბიზნეს-პრესი", პროექტები, განცხადება, პრეს-კონფერენცია მოვლენა, ექსკლუზივი, გამოქვეყნებული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის

# „მაუწყებლობის შესახებ" კანონის მიღების პროცესი ისე წარიმართა, რომ მედიაგარემოს გაუარესების საფრთხე იქმნება - კოალიცია

მედიის ადვოკატირების კოალიცია

(რეზონანსი) „მედიის ადვოკატირების კოალიცია" მიიჩნევს, რომ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესი დაჩქარებულად, სფეროში ჩართული ადამიანების მოსაზრებების გაზიარებისა და რისკების შეფასების გარეშე წარიმართა, რაც ქვეყანაში ისედაც მძიმე მედიაგარემოს გაუარესების საფრთხეს ქმნის.

კოალიცია აღნიშნავს, რომ „მაუწყებლობის შესახებ" კანონის ევროპულ სტანდარტთან ჰარმონიზაციის პროცესში მხარეებთან შეთანხმება და კონსენსუსი არ ყოფილა. ტელემაუწყებლობის უმრავლესობამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა კანონპროექტის ალტერნატიულ ვარიანტზე იმუშავეს, რომელიც პარლამენტს მეორე მოსმენამდე თამარ კორძაიამ წარუდგინა, მაგრამ იგი მხედველობაში არ მიუღიათ.

„მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მესამე მოსმენამდე ევროკავშირმა ვალდებულების შესასრულებლად და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებზე სამუშაოდ პროცესი 2023 წლის 31 მაისამდე გადაავადა. მიუხედავად ამისა, წამყვანმა კომიტეტმა ცვლილებებს მხარი მესამე მოსმენითაც დაუჭირა.

მედიის ადვოკატირების კოალიციას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ჰქონდეს დეტალური ინფორმაცია ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესებთან დაკავშირებით და იცოდეს, რომ არ სრულდება ის მინიმალური სტანდარტიც კი, რომელიც დაინტერესებული პირების პროცესებში ჩართულობას გულისხმობს," - აღნიშნულია განცხადებაში.

# „არც ერთი ხმა, სანამ სტალინის ძეგლი არ დაიდგმება" - სტალინელი ზუმბურიძე ზურიკო



(რეზონანსი) „არც ერთი ხმა, სანამ სტალინის ძეგლი არ დაიდგმება" - სტალინელების ულტიმატუმი ხელისუფლებას.გუშინ გორში შეკრებილებმა კულტურის მინისტრს მიმართეს და წინასაარჩევნო დაპირებები შეახსენეს, რომ მთავრობა ხმების სანაცვლოდ „ბელადის" ძეგლის აღმართვას, მრავალი წელია, ჰპირდება მათ:

„მე პირადად წულუკიანს მივმართავ სტალინის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით, თორემ ძალიან დიდი პრობლემები შეექმნება მაგ სამინისტროს, არჩევნები რომ მოდის და კარდაკარ დაიწყებენ სიარულს, ხალხთან მისასვლელი პირი უნდა ჰქონდეს, ჩვენ პატარა არმია არა ვართ," - ამბობს ზუმბურიძე ზურიკო.

სტალინელებმა გორში გუშინ, ტრადიციულად, იზეიმეს საბჭოთა დიქტატორის დაბადების დღე და მუზეუმის ტერიტორიაზე ძაღლების შესვლის აკრძალვაც მოითხოვეს.

# ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკანონოდ დაკავებული მანუჩარ გულიტაშვილი თავისუფალია




(რეზონანსი) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ცნობით, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ 3 დღის წინ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის მიმდებარე ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქე მანუჩარ გულიტაშვილი თავისუფალია და ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფება.

უწყების ინფორმაციით, უკანონო დაკავების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე გააქტიურდა ცხელი ხაზი და ამოქმედდა ცენტრალური ხელისუფლების ხელთ არსებული ყველა მექანიზმი. ინფორმაცია ეცნობა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეებსა და ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ყველა დესტრუქციულ ქმედებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საოკუპაციო ძალას.

მათი ცნობით, ცენტრალური ხელისუფლება, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, განაგრძობს აქტიურ ძალისხმევას ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონოდ დაპატიმრებული საქართველოს ყველა მოქალაქის გასათავისუფლებლად.

### ძალიან ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 4 | 6 | | | 1 | 9 | | |
| 8 | 7 | 1 | 9 | 4 | 2 | 3 | 6 | 5 |
| 3 | 9 | 5 | 7 | 6 | | | | 2 |
| | 3 | 2 | 4 | 9 | | | 8 | 7 |
| | 5 | 8 | 2 | 1 | | | | 9 |
| 4 | 6 | | | | | | 2 | 3 |
| 9 | 1 | | | | | 7 | 5 | |
| | 2 | | 6 | | 9 | 8 | 3 | 1 |
| | 8 | 7 | 1 | 3 | 5 | | 9 | 4 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | 9 | | 5 | 1 | | 8 |
| | 3 | | 8 | | | 6 | 2 | 9 |
| 8 | | | | | 6 | 4 | 5 | 3 |
| 3 | 9 | | | | 8 | | | |
| | | | | 1 | | 8 | 9 | |
| 1 | | 7 | 6 | | 9 | | | 4 |
| 9 | 6 | 3 | | 8 | | 5 | | 7 |
| | 5 | 2 | | 9 | | | 8 | 6 |
| 7 | 1 | 8 | | | 3 | 9 | 4 | 2 |

### ძნელი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 3 | 7 | 1 | 5 | 9 | 2 | 6 |
| 2 | | 5 | 4 | | | | | |
| 7 | 6 | 1 | | | 8 | | | |
| 6 | 3 | | 1 | | 2 | | | |
| 1 | | | | | | 4 | | 9 |
| 5 | | 4 | 8 | | | | 1 | 2 |
| 3 | | | | 9 | | 1 | | 7 |
| 8 | | | | | 1 | | 9 | |
| 9 | | | | 8 | 4 | 5 | | |

### ძალიან ძნელი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 1 | | | | | | | |
| 2 | | | 6 | | 3 | | 8 | 1 |
| | | 5 | 9 | | | 2 | | 7 |
| | 8 | 3 | 7 | | 6 | | | |
| | | | | 9 | | | | 3 |
| | 6 | | 3 | | 5 | 8 | | 4 |
| | | 8 | | | 9 | 3 | | |
| | 9 | | | | | | 4 | |
| | 3 | 1 | | 6 | 2 | | | 8 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 8 | 1 | 6 | 5 | 9 | 2 | 7 | 4 |
| 7 | 6 | 2 | 8 | 4 | 3 | 9 | 5 | 1 |
| 4 | 9 | 5 | 2 | 1 | 7 | 3 | 6 | 8 |
| 5 | 1 | 6 | 4 | 3 | 8 | 7 | 9 | 2 |
| 2 | 4 | 8 | 9 | 7 | 6 | 1 | 3 | 5 |
| 9 | 7 | 3 | 1 | 2 | 5 | 4 | 8 | 6 |
| 1 | 5 | 9 | 3 | 6 | 4 | 8 | 2 | 7 |
| 6 | 3 | 4 | 7 | 8 | 2 | 5 | 1 | 9 |
| 8 | 2 | 7 | 5 | 9 | 1 | 6 | 4 | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 5 | 1 | 7 | 2 | 8 | 3 | 6 | 4 |
| 7 | 4 | 3 | 1 | 6 | 9 | 5 | 2 | 8 |
| 2 | 6 | 8 | 3 | 4 | 5 | 9 | 1 | 7 |
| 6 | 8 | 4 | 2 | 9 | 1 | 7 | 3 | 5 |
| 5 | 2 | 9 | 6 | 3 | 7 | 8 | 4 | 1 |
| 1 | 3 | 7 | 5 | 8 | 4 | 2 | 9 | 6 |
| 3 | 7 | 6 | 8 | 1 | 2 | 4 | 5 | 9 |
| 4 | 1 | 5 | 9 | 7 | 3 | 6 | 8 | 2 |
| 8 | 9 | 2 | 4 | 5 | 6 | 1 | 7 | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 4 | 9 | 2 | 1 | 8 | 7 | 3 |
| 2 | 8 | 9 | 5 | 7 | 3 | 4 | 6 | 1 |
| 3 | 1 | 7 | 4 | 6 | 8 | 5 | 2 | 9 |
| 5 | 2 | 3 | 1 | 4 | 7 | 9 | 8 | 6 |
| 7 | 4 | 6 | 3 | 8 | 9 | 2 | 1 | 5 |
| 8 | 9 | 1 | 6 | 5 | 2 | 3 | 4 | 7 |
| 9 | 3 | 8 | 2 | 1 | 6 | 7 | 5 | 4 |
| 1 | 7 | 5 | 8 | 9 | 4 | 6 | 3 | 2 |
| 4 | 6 | 2 | 7 | 3 | 5 | 1 | 9 | 8 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 3 | 5 | 2 | 4 | 1 | 9 | 7 | 8 |
| 8 | 7 | 1 | 5 | 3 | 9 | 4 | 6 | 2 |
| 4 | 2 | 9 | 6 | 8 | 7 | 5 | 1 | 3 |
| 5 | 9 | 8 | 1 | 2 | 3 | 6 | 4 | 7 |
| 1 | 4 | 3 | 7 | 9 | 6 | 8 | 2 | 5 |
| 2 | 6 | 7 | 8 | 5 | 4 | 1 | 3 | 9 |
| 9 | 1 | 6 | 3 | 7 | 5 | 2 | 8 | 4 |
| 7 | 8 | 4 | 9 | 6 | 2 | 3 | 5 | 1 |
| 3 | 5 | 2 | 4 | 1 | 8 | 7 | 9 | 6 |

← 22 დეკემბერი სუდოკუს პასუხი

**სუდოკუს** ამოხსნის წესი:

*ჩაწერეთ ყველა ცარიელ უჯრაში ციფრები 1-დან 9-ის ჩათვლით ისე, რომ არც ერთ ცალკე აღებულ სვეტში და სტრიქონში, ასევე მუქად შემოსაზღვრულ 3X3 მატრიცაში (კუბიკში) ერთი და იგივე ციფრი არ მეორდებოდეს.*